საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 აპრილი. 2017 წ. №87 (8224), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მომავალი ბევრად უკეთესად ჩანს წარსულიდან

- ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი შესრულდა;
- „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850 წელიწადია;
- ფოთს თავისი უძველესი ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ-ქართული კავშირ-ურთიერთობის გამო უპრიანი იქნება, თუ ფოთი-ფაზისი ეწოდება.

ხალხმა უნდა გააცნობიეროს თავისი დიდი ისტორიის ღრმა ფესვები

3

თბილისის ახალი არქიტექტურული პარტიტურა: როგორ აშენდება ის?

გიგა ბათიაშვილი: დედაქალაქის განვითარებისთვის ყველაზე საუკეთესო ადგილია თბილისის ზღვის გადაღმა ნაპირის ტერიტორია, საჯეირანოს რომ ვეძახით. ეს ის მხარეა, რომელიც წინა ხელისუფლებამ ახალი სარკინიგზო ხაზით გაკვეთა და რომელიც, ვფიქრობ, ამ დანიშნულებით ვერ იმუშავებს, მაგრამ საუცხოოდ გამოდგება მეტროპოლიტენისთვის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

6

თურქეთში რეფერენდუმი დარღვევებით ჩატარდა

თურქეთში გამართულმა რეფერენდუმმა ანკარასა და ბრიუსელს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა. „საკონსტიტუციო ცვლილებებზე გადაწყვეტილების მიღება თურქი ხალხის უფლებაა, თუმცა ჩვენს შეშფოთებას იწვევს დარღვევები, რომლებიც საარჩევნო პროცესში მრავლად გამოვლინდა. თურქეთის ხელისუფლებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს“, — აღნიშნა მერკელმა.

სამთავრობო ძალები მოსულის 83 პროცენტს აკონტროლებენ

ერაყის არმია მოსულის 83 პროცენტს სრულად აკონტროლებს. ამის შესახებ ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა საად მაანმა განაცხადა. მისივე თქმით, ქალაქის დარჩენილი ნაწილის გათავისუფლებას დიდი დრო აღარ დასჭირდება. არმიის შენაერთებმა ისლამისტებისგან კიდევ ერთი სოფელი, ალ-ტავრა გაათავისუფლეს. დასავლეთ მოსულის გათავისუფლების ოპერაცია 19 თებერვალს დაიწყო.

ოთხფეხა გოგონას ზედმეტი კიდურები მოჰკვეთეს

კოტ დივუარელ გოგონას შეერთებულ შტატებში ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა. გოგონა ერთი წლის წინათ 4 ფეხითა და 2 ხერხემლით დაიბადა. პარაზიტული ტყუპისცალისგან გოგონა ილინოისერმა ქირურგებმა გაათავისუფლეს. ოპერაცია 6 საათს გაგრძელდა. ამჟამად გოგონა თავს კარგად გრძნობს. ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა, სადაც მშობლებთან ერთად პირველ დაბადების დღეს იზეიმებს.

ზიგმარ გაბრიელი: ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ხანდახან ევროპის გარეთ ევროპას უფრო აფასებენ, ვიდრე თავად ევროპაში. ამიტომ ვუჭერთ მხარს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას

საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობა

2

საბერძნეთში არალეგალ ქართველებს ლეგალურად ცხოვრების უფლება მიეცემათ

5

დღის ანეკდოტი

ფრინველების ბაზარში:

– რა არის ეს, რა თუთიყუში მომყიდე, სულ მლანძღავს, მაგინებს, სასამართლოში ჩივილით და დაჭერით მემუქრება.

– ამ მთავრობასთან მუშაობ?

– კი.

– მერე თავიდან ვერ მითხარი? ლიბერასტების ოჯახშია გაზრდილი.

გელა ხმალაძე: აფხაზეთის ერთადერთი პერსპექტივაა, რუსეთის ნაწილი გახდეს!

4

მშიერ ხალხს მთავარი ავიწყდება!

8

რატომ აღარ არის ქართველებისთვის ქვეყნის გამთლიანება პრიორიტეტი?

პრემიერი რუმინეთის სენატის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ბუქარესტში გრძელდება. გიორგი კვირიკაშვილი რუმინეთის პარლამენტს ეწვია და შეხვედრა გამართა სენატის პრეზიდენტ კალინ პოპესკუ-ტარიჩეანუსთან.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველო-რუმინეთის თანამშრომლობის ახალ ეტაპზე – სტრატეგიული ურთიერთობების ეტაპზე გადასვლის მნიშვნელობას. აღინიშნა ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრების მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ერთობლივი დეკლარაციის შესახებ, სადაც ასახულია სტრატეგიული თანამშრომლობის პრიორიტეტები.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხები და ამ მიმართულებით მიღწეული წარმატება. კალინ პოპესკუ-ტარიჩეანუსმა გიორგი კვირიკაშვილს მიულოცა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის ამოქმედება, რაც საქართველოს მიერ გაწეული შრომის აღიარებად შეაფასა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა სენატის პრეზიდენტს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში რუმინეთის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

„საქართველო არის მაგალითი ძალიან პერსპექტიული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების კუთხით და ჩვენ ვართ ძალიან ბედნიერები ამით, რადგან რუმინეთი არის ქვეყანა, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“, – განაცხადა კალინ პოპესკუ-ტარიჩეანუმ შეხვედრაზე.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობასა და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლის აუცილებლობას. რუმინეთის სენატის პრეზიდენტის თქმით, მის ქვეყანას კარგად ესმის საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების და ამ მიმართულებით რუმინეთი კიდევ უფრო გააააქტიურებს საქართველოს მხარდაჭერას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა რუმინელი დამკვირვებლების როლს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარი გარანტია. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სენატის სამახსოვრო წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

უმრავლესობა კონსტიტუციის პროექტის ინიცირებისთვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთერთმა ლიდერმა მარიამ ჯაშმა განაცხადა:

– დღეს უმრავლესობის ფორმატში დეტალურად განვიხილეთ კონსტიტუციური პროექტი და ვიწყებთ ხელმოწერებს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირებისთვის, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და სახალხო განხილვების შედეგად მიღებული რეკომენდაციები მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება. 5-დან 15 მაისამდე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირადად გამართავს ყველა რეგიონში შეხვედრებს“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

„ოცნებაში“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება არ სურთ

მაჟორიტარული სისტემის თაობაზე მმართველ გუნდში კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კახა ოქრიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, მაჟორიტარულ სისტემას მმართველ გუნდში ბევრი მომხრე ჰყავს:

„თუმცა ზოგი ამბობს, რომ უნდა იყოს მხოლოდ პროპორციული სისტემა გარკვეული ბონუსით, თუმცა ჩვენ ამას ვეწინააღმდეგებით. ის, რომ მაჟორიტარული სისტემა კარგი არ არის – არასწორია. მაშინ ჯერ ამერიკამ გააუქმოს და შემდეგ ჩვენ გავაუქმოთ“, – ამბობს კახა ოქრიაშვილი.

საარჩევნო დოკუმენტში, სავარაუდოდ, ცვლილებები შევა

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არ გამორიცხავს, რომ დოკუმენტში, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ დაამტკიცა, შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს. საქმე ეხება პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასა და მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას:

„საბოლოო დოკუმენტის მიხედვით, კომისიამ პროპორციულ საარჩევნო სისტემას მხარი დაუჭირა. ეს არის პროექტი, რომლის ინიცირება მოხდება, შემდეგ გაიმართება საჯარო განხილვები და სამი მოსმენა პარლამენტში. ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობას და ოპოზიციასაც შეეძლებათ არგუმენტები წარადგინონ. საპარლამენტო მოსმენების განმავლობაში ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ დოკუმენტში ცვლილებები შევიდეს“, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მიხეილ ჯანელიძე: ჩვენი სურვილია, საქართველოსა და გერმანიის თანამშრომლობამ ღრმა პარტნიორული ხასიათი შეიძინოს

ბერლინში, საქართველო-გერმანიის წლის საზეიმო გახსნის ცერემონიამდე, ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიხეილ ჯანელიძემ და ზიგმარ გაბრიელმა განცხადებები გააკეთეს.

მინისტრები მიესალმნენ ქართულ-გერმანული ურთიერთობის 200-წლიან ისტორიას და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლის საიუბილეო თარიღებს და აღნიშნეს, რომ ამ ხნის განმავლობაში გერმანია, როგორც ევროპის ლიდერი სახელმწიფო საქართველოს მეგობარ და ახლო პარტნიორად იქცა.

„გერმანიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს, როგორც ინსტიტუციურ, ასევე ეკონომიკურ ტრანსფორმაციაში და გერმანია წლების განმალობაში გამოყოფილი ტექნიკური და ფინანსური დახმარებით ნომერ მეორე დონორი სახელმწიფოა საქართველოსთვის. დღეს, როგორც არასდროს საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებული კავშირების კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობები არსებობს დ ჩვენ ის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ“, – განაცხადა მინისტრმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველო-გერმანიის თანამშრომლობას ეკონომიკური და სავაჭრო მიმართულებით, ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოყო გერმანიის საქმიანი წრეების დაინტერესება საქართველოთი, სადაც დღეს უკვე 380-მდე გერმანული კომპანია საქმიანობს. ჯანელიძის განცხადებით, საქართველო, როგორც რეფორმატორი ქვეყანა გერმანელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი მოდელია და დღეს გერმანია ევროკავშირის სივრცეში საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია.

საკუთარ გამოსვლაში მინისტრმა ხაზი გაუსვა წარმატებულ თანამშრომლობას განათლების, კულტურისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების სფეროში. განსაკუთრებით გამოყო გერმანიის მხრიდან ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფა, რომელმაც მასშტაბურ ციფრებს მიაღწია და რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ქართველი ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, არამედ ემსახურება ქვეყნებს შორის ხალხთაშორისი ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცებას.

მიხეილ ჯანელიძე და ზიგმარ გაბრიელი მიესალმნენ საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებს როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში და აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და გააფართოებს ორმხრივი ურთიერთობების მასშტაბებს. განსაკუთრებით აღინიშნა 2018 წლის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტატუსით მონაწილეობა, რაც გერმანიასა და მთლიანად ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

* * *

„1992 წლის აპრილში გერმანიამ პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და პირველი საელჩო გახსნა თბილისში. საქართველოს მოსახლეობა იმ დროიდან მოყოლებული და მანამდეც ევროპაზეა ორიენტირებული – იმ დროს როცა ევროპის ერთიანობას შიგნიდან ჰყავს სკეპტიკოსები, ეს ნამდვილად სასიხარულო ამბავია. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ხანდახან ევროპის გარეთ ევროპას უფრო აფასებენ, ვიდრე თავად ევროპაში. ამიტომ ვუჭერთ მხარს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას და ვაფასებთ იმ დიდ ძალისხმევას, რაც რეფორმების გატარების კუთხით საქართველომ გასწია“, – ამის შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა საქართველო-გერმანიის გახსნის ცერემონიის წინ ქართველ კოლეგასთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობისთვის და აღნიშნა ქართველი სამხედროების სიმამაცე ავღანეთში მაზარიშარიფის ბაზაზე.

„ბევრმა გერმანიაში, ალბათ, არც კი იცის, რომ ავღანეთში, მაზარ-ე-შარიფში გერმანიის გენერალურ საკონსულოზე ტერორისტული თავდასხმის დროს სწორედ ქართველი ჯარისკაცები იყვნენ ისინი, ვინც გერმანელებს პირველი დახმარება აღმოუჩინეს, ამისათვის განსაკუთრებით დიდ მადლობას გიხდით და მნიშვნელოვანია, რომ ეს საჯაროდ, ხმამაღლაც განვაცხადოთ“.

ზიგმარ გაბრიელმა ასევე საქართველო-გერმანიის წლის შესახებ ისაუბრა, რომელიც ორი ქვეყნის მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენციის დასრულების შემდგომ საზეიმოდ გახსნეს. საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, რომ საიუბილეო წელი 12 თვის ნაცვლად 18 თვეს გასტანს.

„საქართველო-გერმანიის წელი უფრო დიდი ხანი გაგრძელდება, ვიდრე 12 თვე. 18 თვის განმავლობაში საქართველოსა და გერმანიაში 130-ზე მეტი საერთო ღონისძიება და პროექტი ჩატარდება. მხოლოდ ეს აჩვენებს, თუ რამდენად მრავალფეროვანი და მდიდარია ჩვენი ურთიერთობები. წინ ძალიან საინტერესო წელი გველოდება“, – განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა გერმანიის ეკონომიკის აღმოსვალეთ კომიტეტის დირექტორთან მიხაილ ჰარმსთან და ეკონომიკის სფეროზე მომუშავე ჟურნალისტების ჯგუფთან.

შეხვედრაზე გერმანული მხარე დაინტერესდა საქართველოში არსებული ეკონომიკური და საინვესტიციო შესაძლებლობებით. საუბარი შეეხო საქართველოს მნიშვნელოვან როლს, რომელიც ქვეყანამ შეიძინა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში და წარმოადგენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ეკონომიკურ და სატრანზიტო ჰაბს.

შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ტურიზმის შესაძლებლობებს, აღინიშნა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი გერმანიიდან ვიზიტორების რაოდენობა, რამაც 2015-2016 წლებში 80 ათასს მიაღწია.

ხალხმა უნდა გააცნობიეროს თავისი დიდი ისტორიის ღრმა ფესვები

- ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი შესრულდა;
- „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850 წელიწადია;
- ფოთს თავისი უძველესი ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ-ქართული კავშირ-ურთიერთობის გამო უპრიანი იქნება, თუ ფოთი-ფაზისი ეწოდება.



საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს გიორგი კვესიტაძეს

გვაძვს პატივი, მოგმართოთ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მრავალი ათასი წევრის, ქ. ფოთის, სამეგრელოს მხარისა და სრულიად საქართველოს ძირძველი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობასთან ერთად, დღემდე განუხორციელებელი სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქვეყნისთვის პოლიტიკური რეალობით დღეს აუცილებელი ხდება შესაბამის საერთაშორისო სადირექტივო ორგანიზაციებთან საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების საფუძველზე ჩატარდეს: **1. ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის იუბილე; 2. მსოფლიო მოაზროვნის, დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილე; 3. ქ. ფოთს ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ და ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ეწოდოს სახელი ფოთი-ფაზისი.**

ისტორიული თარიღებისა და გეოგრაფიული ცენტრების დღემდე დაუდგენლობა პროვოკაციებისა და გაუგებრობათა მიზეზია, რატომ?! როდემდე გავაგრძელოთ ეს ისტორიული უსამართლობა?!

ამასთან, ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, როგორც საფუძველს, წარმოგიდგენთ ფაზისის აკადემიის მიერ სამეცნიერო სესიებზე ამ თემატიკის განხილვას ყოველწლიურ ჟურნალ-ალმანახ „ცოტნეიდელის“ (ცოტნე დადიანის მიმდევრები) ათტომეულის ფურცლებზე და თითქმის ორმოცდაათწლოვანი ისტორიის მქონე სახალხო დღესასწაულის „ფაზისქალაქობის“ 1996 წლის 24 ნოემბრის ვიდეოსტენოგრაფიულ ჩანაწერს, განთავსებულს ორ დისკზე. ამ თარიღს უკავშირდება ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის აღმართვა სამეგრელოში – ფოთში.

გთხოვთ, თქვენთვის ჩვეულ მხარდამჭერ გადაწყვეტილებებს საქართველოს ზემდგომ სადირექტივო ორგანოებში წარგზავნისა და განხილვა-დამტკიცებისათვის.

ნუგზარ ნადარაია,
საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი;

გერონტი კუხალეიშვილი,
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

ლიანა წურწუმია,
აკადემიის სწავლული მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი.

ქ. თბილისი-გუგდიდი-ფაზისი-გელათი-დიოსკურია-იყალთო

რედაქციისგან:

ფაზისის აკადემიის მესვეურთა ეს შეძახილი მართლაც გამომაფხიზლებელია. ყველა მოთხოვნა გასათვალისწინებელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ძვ.წ. აღ. XI-IX საუკუნეთა მანძილზე, დიდი ასურელი მეფე-დამპყრობლის ტიგლათფილასარ I-ის შემდგომ ხანაში, ურარტუს ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში, ჩამოყალიბდა კოლხეთის (კოლხა) სახელმწიფო – ერთიანი პოლიტიკური ერთეული თავისი „მეფით“, „სამეფო ქალაქებით“, პროვინციათა გამგებელი მეფისნაცვლებით და ა.შ. მან თავისი გავლენა განავრცო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე, რამაც ხელი შეუწყო ამ მხარეში მცხოვრები ტომების კულტურული ერთობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, რომელიც „კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი“.

როგორც აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი წერს, ძველი კოლხეთი, რომელიც ძვ.წ. აღ. XI-VIII საუკუნეებში არსებობდა, ქართველი ტომების ერთერთ უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

ამდენად, სრული უფლება გვაქვს ვიზეიმოთ ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი.

1937 წელს საბჭოთა საქართველომ „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავი იზეიმა, 1966 წელს – 800 წლისთავი. დამოუკიდებელმა საქართველომ კი ვერ შეძლო „ქართველთა ბიბლიის“ 800 წლისთავის აღნიშვნა, ვაი, სირცხვილო!

ფაზისის აკადემია სრულიად მართალია მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებითაც, კერძოდ, ფოთი-ფაზისის იგივეობის შესახებ.

ძვ.წ. V საუკუნის დასასრულის ბერძენ ავტორს ქსენოფონტეს ლეგენდარული კოლხეთის მემკვიდრეთა სამეფო მდ. ფაზისზე (რაიონზე) მდებარედ წარმოედგინა. ამ დროს უკვე არსებობდა ძველი ბერძნული ახალშენი მდინარე ფაზისის შესართავთან – ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთის მიდამოებში).

როგორც აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი გვამცნობს, დღევანდელი საქართველოს ზღვისპირას არსებული ბერძნული ახალშენებიდან, ფაზისის გარდა, ცნობილია მოენოსი (ოჩამჩირე) და დიოსკურია (სოხუმი).

ეს საფუძველს იძლევა, რომ ფოთელთა თხოვნა დაკმაყოფილდეს – ფოთს ფოთი-ფაზისი ეწოდოს.

„ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით თუ მოლაპარაკებები არ შედგება, არბიტრაჟისთვისაც მზად ვართ

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით შესაძლოა, მოლაპარაკებები შედგეს და საქმე არბიტრაჟამდე არ მივიდეს, ხოლო თუ მოლაპარაკებები არ შედგება, ქართული მხარე არბიტრაჟისთვისაც მზად არის.

„შეტყობინება მივიღეთ არბიტრაჟთან დაკავშირებით. ჩვენ ვამზადებთ დოკუმენტაციას, მაქსიმალურად დავიცავთ ჩვენ პოზიციებს, მაგრამ საქმე შეიძლება, დავამდეც არ მივიდეს, შეიძლება, შედგეს მოლაპარაკებები. ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში ცნობილი იქნება საზოგადოებისთვის. თუ მოლაპარაკებები არ შედგება, ჩვენ არბიტრაჟისთვისაც მზად ვართ“, – განაცხადა კალაძემ.

ყაზახი ინვესტორები საქართველოს მთავრობას საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივიან. სარჩელის თანხა 180 მილიონი დოლარია. საქმე ეხება საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ 2009 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ყაზახურ მხარეს გაზგამანაწილებელი კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მართვის უფლება ჩამოერთვა და კომპანიის ხელმძღვანელის პოსტი სემეკ-ის მიერ დანიშნულ დროებით მმართველს გადაეცა. ოფიციალური ინფორმაციით, გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ის, რომ კომპანიას ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა და კომპანიის გადახდისუნარიანობა საფრთხის ქვეშ დადგა. 8 წლის განმავლობაში, ყაზახური მხარე კომპანიის მართვაში დაბრუნებას ითხოვდა. არაერთი შეხვედრა შედგა ენერგეტიკის მინისტრთან, თუმცა შეთანხმება ვერ მოხერხდა.

ნაადრევი ქორწინება და მისი უარყოფითი მხარეები

2017 წლის 26 აპრილს, თელავის რაიონული პროკურატურის და საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision კახეთის რეგიონში“ ორგანიზებით, პროექტ „ადგილობრივი საბჭოს“ ფარგლებში თელავის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, რომელშიც თელავის რაიონული პროკურატურის თანამშრომლები, საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision“-ის კახეთის რეგიონის წარმომადგენლები და თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ, წარდგენილი იქნა საერთაშორისო ორგანიზაცია „World Vision“-ის მიერ ბავშვების საჭიროებების თემაზე ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით ყველაზე დიდ პრობლემად ნაადრევი ქორწინება დასახელდა. შეხვედრის მონაწილეებს ასევე წარედგინათ საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადებული კვლევები ნაადრევ ქორწინებასა და 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის თემებზე. ღონისძიებაზე ნაადრევი ქორწინების უარყოფით ასპექტებზე ისაუბრეს და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიები დაგეგმეს. შეხვედრაზე სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი „სამოქალაქო კლუბის“ პრეზენტაცია გაიმართა და ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ვიდეორგოლის ჩვენება მოეწყო.

ქართული ღვინის მემატიანე

გამოჩენილი ქართველი მეღვინე, ქართული ღვინის მემატიანე, ალკოჰოლური სასმელების სპეციალისტი **ბონდო კალანდაძე** დაიბადა 1942 წლის 28 აპრილს თბილისში მოსამსახურის ოჯახში. სკოლის (დღევანდელი 53-ე საჯარო სკოლა) დამთავრების შემდეგ ჩაბარა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. 1965 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს დავით სარაჯიშვილის – ყოფილ ლიქიორ-არყის ქარხანაში. 1970-1975 წლებში იყო საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. 1976 წლიდან გადაჰყავთ „სამტრესტში“ სპირტისა და მეღვინეობის ნარჩენების მთავარ ტექნოლოგად. 1986-1993 წლებში მუშაობს თბილისის სპირტისა და ლიქიორ-არყის გაერთიანება „კრისტალში“, ჯერ მთავარი ინჟინრის მოადგილედ, შემდეგ – მთავარ ინჟინრად. 1993 წლიდან მეგობრებთან ერთად აფუძნებს კომპანია ,,GWS“-ს, რომელიც 16 წლის განმავლობაში ქართული მეღვინეობის ფლაგმანად ითვლება. 2006 წლიდან დღემდე იგი კომპანია „დავით სარაჯიშვილის“ არყის სამსახურის უფროსია.

ბატონი ბონდო ახალგაზრდობაში აქტიური სპორტსმენი იყო, ჯერ კალათბურთში და შემდეგ ხელბურთში 1963-1964 წლებში იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტებს შორის.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში დაეუფლა კანტის სპირტების დავარგების მეცნიერულ საფუძვლებს და გამოუშვა ორი მონოგრაფია – „ლიქიორის ტექნოლოგია“ და „სპირტის ტექნოლოგია“, რომლებიც პირველი ნაშრომები იყო ქართულ ენაზე.

„სამტრესტის“ ცენტრალურ აპარატში და გაერთიანება „კრისტალში“ მუშაობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო თათბირ-სემინარებში კიევის, დონეცკის, პეტერბურგის, ლვოვის, ბობრუსკის სპირტისა და ლიქიორ-არყის ქარხნებში და იზმირის, ტოკიოს, ვენის, დამასკოს, პლუდოვის, პოზნანის მსოფლიო გამოფენებზე.

2006 წლიდან აქვეყნებს ენციკლოპედიურ ნაშრომებს, რომლებიც საყოველთაო ინტერესს იწვევს არა მხოლოდ პროფესიულ მევენახე-მეღვინეთა, არამედ მოყვარულ და დამწყებ მეღვინეთა შორის.

მისი 11 მონოგრაფიიდან აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში გამოშვებული „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მატიანე“, „სამტრესტი და სამტრესტელები“ , „მსოფლიოს მაგარი ალკოჰოლური სასმელები“, „საქართველო – ღვინის აკვანი“, „ჭაჭა, ქართული ფენომენი“, რომლებიც საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად გავიცნოთ ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია.

თავისი 55 წლის მოღვაწეობის პერიოდში ბატონი ბონდოს მიერ შექმნილი 60-ზე მეტი დასახელების მაგარი სასმელების რეცეპტებს შორის აღსანიშნავია არაყი „ტარხუნა“, არაყი „მამონტი“, ლიქიორი „საფერავი“, ლიქიორი „ტარხუნა“, ლიქიორი „ფეიხოა“. არაყ „ივერიონის“ შვიდი სხვადასხვა სახე და „ჭაჭა განსაკუთრებული“, რომლებმაც საკავშირო და მსოფლიო გამოფენებზე არაერთი სხვადასხვა ღირსების მედალი და დიპლომი დაიმსახურეს.

ბონდო კალანდაძე არჩეულია ლუიზიანას შტატის ქალაქ ახალი ორლეანის სატიო მოქალაქედ, არის ყირიმის მეღვინეთა გილდიის ლევ გოლიცინის სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, არჩეულია საერთაშორისო მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის ნამდვილ წევრად, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მეღვინის წოდება. შეტანილია ყოფილ СНГ-ის ქვეყნების საუკეთესო მეღვინეების წიგნში. არჩეულია 2014 წლის საუკეთესო მეღვინედ, გადაეცა კომპანია KTW-ს მიერ დაწესებული „ქართული სულის“ ოქროს მედალი.

იგი აქტიურად თანამშრომლობს მედია სივრცეში – სხვადასხვა რადიო და ტელეკომპანიებში, მიჰყავს ყოველკვირეული საეთერო გადაცემა „საქართველო ვაზისა და ღვინის მაცნე“ ტელეარხზე „საფერავი-TV“. თანამშრომლობს ბარმენთა და სომელიეთა ასოციაციებთან, არის ქართველი მეღვინე ვეტერანთა ასოციაციის პრეზიდენტი.

იგი ნამყოფია მსოფლიოს 45 ქვეყანაში ბოთლის, ეტიკეტის, ყურძნის, საცობების, ჩაჩების მანქანა-მოწყობილობათა ქარხნებში და მონაწილეობდა ანტალიის, დიუსელდორფის, მაიამის, ბორდოს, ლონდონის, მილანის მსოფლიო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე.

ჰყავს ორი შვილი, სამი შვილიშვილი, არის მხნედ და კიდევ მრავალ სიახლეს ჰპირდება დარგის სპეციალისტებს.

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო და ქართველ მეღვინე ვეტერანთა ასოციაცია ბატონ ბონდოს ულოცავს დაბადების სახელოვან 75 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

პაატა ჭავჭანიძე

გელა ხმალაძე: აფხაზეთის ერთადერთი პერსპექტივაა, რუსეთის ნაწილი გახდეს!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის აფხაზეთში ამასწინანდელ ვიზიტს და იქ ე.წ. რუსეთის საელჩოს გახსნას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უჩვეულოდ თავშეუკავებელი კრიტიკის ტალღა მოჰყვა. არადა, ეს 2008 წლის ომის დროიდან ლავროვის მეოთხე ვიზიტი იყო ოკუპირებულ რეგიონში და, გარდა ამისა, ბოლო პერიოდში მოსკოვს თბილისის მიმართ არაერთი სხვა უკანონო, მტრული ნაბიჯი გადაუდგამს. იმაზე, თუ როგორ შეიძლება, აისახოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ეს ვიზიტიც და მასზე საქართველოს ხელისუფლების რეაქციაც, **„აძცენტი“** კავკასიოლოგ **გელა ხმალაძეს** ესაუბრა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას სჭირდება პოლიტიკური რესურსი, რომელიც აფხაზურ საზოგადოებას არა აქვს და არასოდეს ექნება ამ ეთნოსის მცირერიცხოვნობისა და მენტალობის თავისებურებების გამო. ამიტომ ახლოვადიან რეალობაში აფხაზეთის ერთადერთი პერსპექტივაა, გახდეს რუსეთის ფედერაციის ნაწილი. აფხაზური ელიტების ამბიცია, ჰქონდეთ ეროვნული სახელმწიფო, მხოლოდ რეალობისგან გაქცევა და თავის მოტყუებაა.

– თქვენი შეფასებით, რა მესიჯს შეიცავდა თბილისისთვის ეს ვიზიტი? რამ გამოიწვია ამჯერად თბილისის მსგავსი რეაქცია? შეიძლება თუ არა, ამის საფუძველზე რუსეთის მიმართ „სტრატეგიული თმენის“ პოლიტიკის დასრულებაზე ვისაუბროთ და როგორ შეიძლება, აისახოს პერსპექტივაში ეს ყველაფერი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?

– ეს ლავროვის მესამე თუ მეოთხე ვიზიტია აფხაზეთში. 2008 წლის შემდეგ სოხუმსა და ცხინვალში ლავროვზე მაღალი რანგის პირებიც ჩასულან, – მხედველობაში მყავს რუსეთის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი. ამიტომ რაიმე ახალს და განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

რაც შეეხება ე. წ. სტრატეგიული თმენის პოლიტიკას, დარწმუნებული ვარ, მაინცდამაინც არც თავად საქართველოს ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ვიზიტი რაიმე შედეგს მოიტანდა რუსეთთან ურთიერთობაში.

ცხადია, საქართველოს ევროინტეგრაციის ხარისხის ზრდასთან ერთად რუსეთის ნაბიჯები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსიის მიმართულებით უფრო აქტიური და აგრესიული გახდება. საქართველოს სახელმწიფოს მართებს, აქედანვე მოემზადოს ყველაზე უარესი სცენარისთვის. ფაქტია, ერთადერთი, რამაც შეიძლება, დააფიქროს რუსეთი, ვიდრე ამ ორი რეგიონის ანექსიის მექანიზმებს აამუშავებს, არის პოლიტიკური ფასი, რომელიც მას ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა უნდა მოსთხოვონ ამის სანაცვლოდ. თუ რუსეთი მიხვდა, რომ მას დასავლეთი პასუხს არ მოსთხოვს და დამატებით უფრო მძიმე სანქციებს არ დაუწესებს, უნდა ჩავთვალოთ, რომ კრემლმა თითქმის წაუგებელი თამაში წამოიწყო და საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს ამ ორი რეგიონის ანექსიის პროცესს წარმატებით დაასრულებს.

– საერთო აჟიოტაჟის ფონზე თბილისში თითქმის უყურადღებოდ დარჩათ ის დეტალი, რომ ლავროვს თან ახლდა გრიგორი კარასინი – რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი აბაშიძე-კარასინის პრაღის ფორმატის შეხვედრებზე და რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე. მისი ქართველი კოლეგა – პრემიერის სპეცწარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე იმედგაცრუებას ვერ მალავს. თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვს ამ ვითარებაში აბაშიძე-კარასინის ფორმატს?

– საწყის ეტაპზე პროგრესი იყო, თუმცა აბაშიძე-კარასინის ფორმატმა კარგა ხანია, ამოწურა თავისი შესაძლებლობები. რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია და დიპლომატიური ურთიერთობის არქონა ორმხრივი თანამშრომლობის მეტი განვითარების საშუალებას ობიექტურად არ იძლევა. კონტაქტების უფრო მეტ ინტენსიურობას უკვე მთავრობათაშორისი და უწყებათაშორისი კონტაქტები სჭირდება, რასაც დიპლომატიური კავშირის არქონა პირდაპირ გამორიცხავს. ზურაბ აბაშიძის მხრიდან იმედგაცრუება შესაძლოა, ამით იყოს გამოწვეული: იგი ნათლად ხედავს თავისი ფუნქციების უპერსპექტივობას და ფორმატის მოჩვენებითობას.

რუსეთმა თავიდანვე დააყენა პირობა, რომ საქართველოსთან ეკონომიკური თუ ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენას არანაირად არ დაუკავშირებდა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხში რაიმე სახის დათმობებს. ამიტომ ახლა სრულიად უადგილოდ და არასერიოზულად მეჩვენება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გამოთქმული უკმაყოფილება და ჩივილი, თითქოსდა რუსეთისაგან ამ აგრესიულ ნაბიჯებს არ ელოდნენ და მოსკოვი არასანდო პარტნიორი აღმოჩნდა. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მიერ 2012 წლიდან გამოცხადებული ე. წ. „დათბობის პოლიტიკის“ მარცხის აღიარება.

– ზოგადად როგორ აფასებთ რუსეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას და ოფიციალური თბილისის მუშაობას საერთაშორისო პარტნიორებთან ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციის მისაღწევად?

– სამწუხაროა, მაგრამ დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე ვერ შევძელით, დაგვერწმუნებინა რუსეთი, რომ საქართველოში დემოკრატიული, ევროპული ტიპის სახელმწიფოს არსებობა საფრთხეს არ შეუქმნის მის ინტერესებს.

სამწუხაროდ, დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს უაღრესად შეზღუდული და არაეფექტური ბერკეტები გააჩნია, რათა კარდინალურად შეცვალოს ვითარება დეოკუპაციის საკითხში.

იხ. 11 გვ.

ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომას თბილისი უმასპინძლებს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა 2018 წლის ზაფხულში თბილისში გაიმართება, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონიტორინგის კომიტეტის წევრმა თამარ ჩუგოშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე მომხსენებლების – ბორის სილევიჩის და კირსტენ ლუნდგრენის ანგარიში მოისმინეს. თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, მომხსენებლების მხრიდან, საქართველოს მიმართ, ყველაზე პოზიტიური შეფასებები გაკეთდა. როგორც თამარ ჩუგოშვილმა აღნიშნა, მთავარი რეკომენდაცია სასამართლო რეფორმის გაგრძელების აუცილებლობა და ასევე, საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობაა. დელეგაციის წევრის, ოპოზიცის წარმომადგენლის გიორგი კანდელაკის თქმით, მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი საკონსტიტუციო ცვლილებებს შეეხო და იმედი გამოითქვა, რომ ვენეციის კომისიის შენიშვნები გათვალისწინებული იქნება.

ლევან კალანდაძე: საგანგაშო არაფერია, ლარი წონასწორობის ნიშნულს ნახულობს

ეკონომისტ ლევან კალანდაძის თქმით, ბოლო დროს ლარის რყევებში არაფერია განსაკუთრებული და იგი ქვეყნის ეკონომიკის შესაბამისად ცურავს.

„ლარს აქვს მცურავი კურსი და იგი დამოკიდებულია ქვეყანაში შემოსულ-გასული ვალუტის მოცულობაზე, ანუ უცხოური ვალუტისა და ლარის მოცულობის თანაფარდობაზე“, – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, ეკონომიკაში უარყოფითი ტენდენციები არ შეინიშნება და მაკროეკონომიკური პარამეტრები დადებით ნიშნულზეა, რაც არ გამოიწვევს ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრ ცვლილებებს.

„პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ტრენდულ ხასიათს იღებს, ამ შემთხვევაში არ შეინიშნება მსგავსი რამ. თითქმის ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი დადებით ნიშნულზეა და აქედან გამომდინარე, ლარიც დინებას მიჰყვება, ეს დამახასიათებელია მცურავი კურსის მქონე ვალუტისათვის“, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

ნათია გედენიძემ ბრალდებული დევნოზაშვილი ამოიცნო

თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ფოტოგრაფების საქმის განხილვაზე პირველმა მოწმემ, ფოტოგრაფმა ნათია გედენიძემ უკვე მისცა ჩვენება. მან 6 წლის წინ მის დაკავებაზე ისაუბრა და ძალოვანი უწყებისთვის ძალით მიცემული ჩვენება გაიხსენა. ამ საქმეზე ერთი პირი დაკავებულია, ერთი კი ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება.

„არ გამჭირვებია ამომეცნო ბრალდებულის სკამზე არსებული ადამიანი დავით დევნოზაშვილი, რომელმაც ჩემი საკუთარი კომპიუტერიდან საკამათოა რამდენად კანონიერად, მაგრამ ამოიღო ჩემი საკუთარი პირადი ფოტო, რომლითაც მემუქრებოდა, რომ ეს გახდებოდა საჯარო“, – განაცხადა ნათია გედენიძემ.

საბერძნეთში არალეგალ ქართველებს ლეგალურად ცხოვრების უფლება მიეცემათ

იმ შემთხვევაში, თუკი საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს კრიმინალური წარსული, ან სხვა მძიმე დანაშაული არ დაუდასტურდება, ბინადრობისა და მუშაობის უფლება ოფიციალურად დაუდასტურდება. ამისთვის კი, მიგრანტმა სპეციალური მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილონ. ჯერჯერობით უცნობია ამოქმედდება თუ არა ანალოგიური რეგულაციები ევროპის სხვა ქვეყნებში.

საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ლეგალიზაციის ხელშეწყობის საკითხის განსახილველად საქართველოს ელჩი საბერძნეთში **იოსებ ნანობაშვილი** საბერძნეთის მიგრაციის პოლიტიკის მინისტრს იოანის მუზალასს შეხვდა. შეხვედრის მიზანს ამ პროცესში ორ ქვეყანას შორის ერთიანი, კოორდინირებული მიდგომის ჩამოყალიბება იყო.

შეხვედრაზე შედგა შეთანხმება, რომ ბერძნული მხარე შესაბამის ტექნიკურ დახმარებას გაუწევს საქართველოს მიგრაციის შესახებ საბერძნეთის 2014 წლის კანონისა და მასში შესული შესაბამისი შესწორებების ინტერპრეტაციის, ასევე, მათი პრაქტიკული რეალიზაციის საკითხში. ფოკუსირება მოხდება კანონის იმ მუხლებზე, რომლებიც, გამონაკლისის სახით, საბერძნეთში მცხოვრებ ე.წ. „მესამე ქვეყნების“, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებს, საბერძნეთში ლეგალურად ცხოვრების უფლებას აძლევს.

მხარეები ასევე დაიწყებენ მუშაობას ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შესამუშავებლად, რომელთა საფუძველზეც ე.წ. „მესამე ქვეყნების“, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების ახალი კატეგორიებისთვის, გაიხსნება საბერძნეთის რესპუბლიკაში ლეგალურად ცხოვრების შესაძლებლობები. კანონში შესული ცვლილებით სარგებლობა საქართველოს მოქალაქეებსაც შეეძლებათ.

ამ ეტაპზე უცნობია რა დოკუმენტაციის წარდგენას მოითხოვს ბერძნული მხარე, მაგრამ, **სავარაუდოდ, დოკუმენტაციის ჩამონათვალში იქნება ფულადი გზავნილების დამადასტურებელი ქვითრები, პასპორტის ასლი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და დამსაქმებლის რეკომენდაცია.**

სამოქმედო გეგმა ორ ეტაპს ითვალისწინებს: **პირველი – მიგრაციის შესახებ კანონის ინტერპრეტირება** და **მეორე – ახალი ინიციატივების ინიცირების შესახებ შესაძლებლობა**. საბერძნეთში საქართველოს ელჩის განცხადებით, მხარეების მიერ, **პირველ ასეთ შესაძლო კატეგორიად განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე მზრუნველი ადამიანები.**

„მუშავდება დოკუმენტაცია, რომელიც ბერძნულ მხარეს გადაეცემა. რაც შეეხება შესაბამის დოკუმენტაციას, პირი, რომელიც დაადასტურებს, რომ 7 წლის განმავლობაში გადარიცხვებს ახორციელებდა საქართველოში, სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად, მისთვის ეს დოკუმენტი შეიძლება ლეგალიზაციის საფუძვლად ჩაითვალოს.

ასევე, არის სხვადასხვა კატეგორიები, ოჯახის მომვლელები, კატეგორიები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უვლიან და ა.შ. ჩვენი მიზანია, იმგვარად აიგოს ეს სტრატეგია და ისეთი ტიპის ინიციატივები დავაყენოთ ჩვენი ბერძენი კოლეგების წინაშე, რომ მაქსიმალურად მოიცვას ფართო ფენები“, – აღნიშნა იოსებ ნანობაშვილმა.

დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საქართველოს საელჩო გეგმავს თანამშრომლობას საბერძნეთში მოღვაწე ქართველ იურისტებთანაც, რომელთაც საბერძნეთის კანონმდებლობასთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, ხოლო ბერძნული მხარე თავის მხრივ, გამოყოფს სამართლებრივ საკითხებზე პასუხისმგებელ შესაბამის პირს.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ბინადრობისა და მუშაობის უფლების ოფიციალურად მინიჭების საკითხზე მუშაობა 2012 წელს დაიწყო, 2014 წელს კი საბერძნეთის რესპუბლიკამ აღნიშნული ცვლილება მიიღო. 2014 წლიდან ამ პროცედურას ახორციელებდა ერთადერთი ორგანიზაცია და ეს იყო საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დიასპორული ინვესტიციების მხარდამჭერი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ოკრიბელაშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ შსს-ს უწყებაში ძალიან ბევრი განცხადება დაგროვდა. მისი თქმით, 2014 წელს ჩაბარებულ საბუთებზე დღესაც არ არის მიღებული დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება.

„არალეგალებისთვის ამ კანონს აქვს ორი პლუსი: პირველი – როგორც კი აბარებ საბუთს, შენ გაძლევენ ცნობას, რომ ჩაბარებული გაქვს საბუთები, ამ ცნობის საფუძველზე ფაქტობრივად უკვე ხდები ლეგალი. კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ ქუჩაში თუკი პოლიცია გაგაჩერებს, არ გაკავებს, დეპორტს არ გიკეთებს, რადგან გაცემული ცნობა უკვე არის ლეგალური საბუთი, მაგრამ შენ ამ საბუთით არ გაქვს მუშაობის უფლება.

მეორე – შემდეგ უკვე უნდა გაიარო გასაუბრება და ამის მერე გაძლევენ ბინადრობის უფლებას. აქ იყო ერთი პრობლემა, იმის გამო, რომ ამას აკეთებდა მხოლოდ შსს და ერთ ადგილას მიიღებოდა გადაწყვეტილება, დაგროვდა ძალიან დიდი რიგი. ამიტომ, თებერვლის ბოლოს, უკვე მარტის დასაწყისში შსს-ს მიერ აღნიშნული საკითხების განხილვის უფლებამოსილება გადაეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რის შემდეგაც პროცედურა დაჩქარდა“, – აცხადებს გიორგი ოკრიბელაშვილი.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 80 ათასი ქართველი იმყოფება, აქედან 50% არალეგალია. როგორც ოკრიბელაშვილი ამბობს, მნიშვნელოვანია, როდესაც საქართველოს მოქალაქეს არალეგალურად არ მოუწვეს ყოფნა საბერძნეთის ტერიტორიაზე.

„დღეს არის ერთადერთი პრობლემა, ბევრი ბერძენი დამსაქმებელი, რომელსაც არალეგალურად ჰყავდა პირი დასაქმებული, ვერ რისკავს ამ ცნობის გაცემას, რაც პრობლემურია, თუმცა მოგვარებადი. ათენში არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანებს ამ ცნობის აღებაში, ასევე ადვოკატები.

ადამიანს, რომელიც 18 წელია საბერძნეთის ტერიტორიაზეა, მას შეუძლია, დაამტკიცოს, რომ 7 წელი არალეგალურად იმყოფება საბერძნეთის ტერიტორიაზე და თუ მას კრიმინალური წარსული, ან სხვა მძიმე დანაშაული არ დაუდასტურდება, მას უფლება აქვს მიიღოს ბინადრობის უფლება. ეს ნიშნავს, რომ არ იქნება არალეგალი და ექნება ლეგალურად მუშაობის უფლება. ეს არის ძალიან კარგი და ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა“, – ამბობს გიორგი ოკრიბელაშვილი.

როგორც ოკრიბელაშვილი აცხადებს, ახალი რეგულაციების ამოქმედება მნიშვნელოვანია თავად საბერძნეთისთვის, რადგან საბუთის მაძიებელი ერთი კონკრეტული ადამიანი საბერძნეთის ბიუჯეტში 300 ევროს იხდის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენი არალეგალი ქართველი იმყოფება, მათ შორის რამდენია „მესამე ქვეყნიდან“ შესული, საერთო ჯამში საბერძნეთის ბიუჯეტში არალეგალებისგან საკმაოდ დიდი თანხა შედის.

„რაც შეეხება საქართველოს და რას აძლევს ემიგრაცია საქართველოს. ემიგრაციის ყველაზე დიდი შედეგი არის წელიწადში მილიარდ 200 მილიონი ევროს გადმორიცხვა, რომელიც მიემართება ჩვენი ოჯახების კვებაში. მარტო საბერძნეთიდან კვირაში მინიმუმ 18 ტონა ამანათი შემოდის. ეს არაპირდაპირი ინვესტიციაა ეკონომიკაში, ამ მილიარდ 200 მილიონი ევროთი სტიმულირდება სამშენებლო ბიზნესი, ადგილობრივი წარმოება და ა.შ. აი, ამას აძლევს ემიგრაცია საქართველოს.

მაგრამ რას აძლევს მათ საქართველო? – არც არაფერს. მათ არა აქვთ საშუალება ანგარიში გახსნან ბანკში, შეიქმნან თავისი საბანკო ისტორია, არ აქვთ საშუალება ისარგებლონ საყოველთაო დაზღვევის პაკეტით, რომელიც მართალია საზღვარგარეთ არ ვრცელდება, მაგრამ ეს ადამიანები ფიზიკურად საქართველოს მოქალაქეები არიან, ბუჯეტში გათვლილია ამ ადამიანზე ეს თანხები, მაგრამ მათ რა აქედან? ეს არის მთელი ისტორია. ემიგრაცია საქართველოს საკმაოდ ბევრ სარგებელს აძლევს, მაგრამ ადეკვატური უკანარგება ნამდვილად არ არის“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გიორგი ოკრიბელაშვილმა.

ექსპერტი სოსო ცინცაძე ფიქრობს, რომ არალეგალებისთვის ბინადრობისა და მუშაობის უფლების მიცემა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ხელისუფლებას და სახელმწიფოს ღირსებას არ მატებს, ეს არის ქვეყნის ტრაგედია, როდესაც ჩვენი მოქალაქეები კოლონიურ შრომას ეწევიან და თანაც არალეგალურად.

თამთა ძარჩავა

თბილისის ახალი არქიტექტურული პარტიტურა: როგორ აშენდება ის?

თანამედროვე ქალაქების განვითარება, მით უმეტეს, როცა საქმე დიდ პოლისებს ეხება, საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის გარეშე სრულიად წარმოუდგენელი რამაა. ასევე შეუძლებელია ასეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა ქალაქმშენებლობისთვის საჭირო მოქმედებათა ნუსხის, მათი თანმიმდევრობის, მოცულობათა და სხვა საკითხთა მწყობრი სისტემის არარსებობის გარეშეც, რასაც სპეციალისტები ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას უწოდებენ.

უწინ, საბჭოთა წყობილების დროს, თბილისს ჰქონდა ასეთი გენგეგმა, რომელიც წარმატებითაც ისხამდა ფრთებს, თუმცა კი მე-20 საუკუნეში, დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვების შემდეგ, გამუდმებითაა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ადრინდელი გეგმა დიდი ხანია, მოძველდა და ახალი ქალაქს ჰაერივით ესაჭიროება, თუმცა კი წლების მანძილზე ამას საშველი არა და არ დაადგა.

ახლა კი, რამდენადაც ვიცით, თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა საზოგადოებას განსახილველად მაისის მიწურულს წარედგინება. მეტიც, ცოტა ხნის წინათ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კრწანისის რაიონში სამთავრობო უბნის მშენებლობაც დააანონსა.

აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ ათეული წლების განმავლობაში დედაქალაქის განაშენიანების საკითხებზე მომუშავე ჩვენს ცნობილ არქიტექტორს, საპატიო თბილისელს, ბატონ გიგა ბათიაშვილს მივაკითხეთ:

— თავდაპირველად მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ თბილისის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებით დაინტერესდით, — თქვა ბატონმა გიგამ. — რაც შეეხება თავად ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, სავსებით გასაგებია, რომ დედაქალაქის არქიტექტურული მომავალი ბევრს ადარდებს, მაგრამ, ვიდრე თბილისის ახალი გენგეგმა, რომ იტყვიან, „მაგიდაზე არ დაიდება“ და რეალურად არ ვნახავთ თუ რას წარმოადგენს ის არსებითად, მასზე რაიმე კომენტარის გაკეთების უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ.

რაც შეეხება თბილისის განვითარების ახალ გენგეგმასა და კრწანისის რაიონში სამთავრობო უბნის დაანონსებულ მშენებლობას, ამ თემებზე ზოგადი ლაპარაკი, მოდით, ძირიდან დავიწყოთ, რათა ყველაფერი უფრო ადვილად წარმოსაჩენი იყოს.

უპირველესად იმის თქმაა საჭირო, რომ ამდენი ხნის მანძილზე გენგეგმის არარსებობამ თბილისს ურბანული თვალსაზრისით ბევრი რამ დაუშავა. არადა, თითქოს უცნაურად ჟღერს: „თბილისს გენგეგმა არ ჰქონდა“. როგორ არა, ჰქონდა, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, „სხვა“, დიდი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვყნის დედაქალაქის გენგეგმა იყო, რომელიც იმ სახელმწიფოსთვის მიღებული ერთიანი წესებით ცენტრალიზებულად იმართებოდა. ამდენად, იმ დროს არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად, თბილისს შესანიშნავი გენგეგმა ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ დრო შეიცვალა, ამჟამინდელი მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია.

დღესდღეობით საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეგიონში და აზია-ევროპას შორის ერთ-ერთი დამაკავშირებელი დერეფნის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, თანაც მისი როლი ყოველწლიურად განუხრელად იზრდება, რაც კასპიისა და შავ ზღვებს შორის სატრანზიტო დერეფნის სიმოკლითაა განპირობებული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა დავინახოთ, თუ რა მოთხოვნების წინაშე ვდგებით აქედან გამომდინარე. **პირველ ყოვლისა, ესაა თბილისის განვითარების ძველი გენერალური გეგმის გადახედვის, უფრო სწორად კი მისი ყოველმხრივ გადამუშავების აუცილებლობა.** ეს უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძველის რევიზია უნდა მოხდეს, არამედ იმის გამო, რომ სხვა, ყველაზე მთავარ კითხვას წარმოშობს: **რის საფუძველზე უნდა მოხდეს ეს?** ერთი გარემოება ისაა, რომ თბილისმა მართალია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა მარტო სატრანსპორტო-სატრანზიტო ფუნქცია უნდა შეასრულოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი — რა როლი აკისრია მას ქვეყნის წინაშე? ამასთან დაკავშირებით, იმის თქმაა აუცილებელი, რომ ქალაქების, მითუმეტეს დედაქალაქის გენერალური გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის განსახლებას და ურბანული განვითარების კონცეფციას, რაც დღემდე არ არის შექმნილი. განა შეიძლება, რომელიც გნებავთ, ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შექმნა მთელი ქვეყნის განვითარების კონცეფციის გარეშე და არსებულ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად? ანდა შესაძლებელია კი ქვეყნის განსახლების კონცეფციის შექმნა იმის წინასწარი განსაზღვრის გარეშე, თუ რას უნდა ემსახურებოდეს თითოეული ურბანული წარმონაქმნი და, საერთოდაც, რა მიმართულებით უნდა ვითარდებოდეს თითოეული მათგანი — იზრდებოდეს, ისევ არსებულ დონეზე რჩებოდეს, თუ მცირდებოდეს, რა დანიშნულებისა უნდა იყოს?

ამჟამად, ქვეყანაში მრავალი მასშტაბური პროექტი ხორციელდება — შენდება ელექტროსადგურები, სხვადასხვა დანიშნულების ახალი საწარმოები, ვითარდება ტურიზმი. ამ ობიექტების ეკონომიკური, შრომითი რესურსების, ენერგეტიკული და ა.შ. მოთხოვნებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ურბანული განვითარების სხვადასხვა მიმართულებები. ბუნებრივია, რომ ყველაფერთან ერთად საჭიროა ფიქრი მოსახლეობის ყოფითი კომფორტის გაუმჯობესებაზეც. ყველა ეს და კიდევ მრავალი სხვა კომპონენტი, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაზეც.

სამწუხაროდ, ქვეყნის განსახლების და ურბანული განვითარების კონცეფცია დღესდღეობით არ გაგვაჩნია და ამ პირობებში თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმის შექმნას მივადექით. აქ არის კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: **თუკი ხელთ არ გვექნება ქვეყნის განსახლების კონცეფცია, დედაქალაქის განვითარების სრულფასოვან გენგეგმას ვერ შევადგენთ.**

მართალია, აქამდე ქვეყნის განსახლების კონცეფცია არ გვქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, თბილისის განვითარების გენგეგმა მაინც არსებობდა. მაშ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი გეგმა მაინც რატომ არ შემუშავდა? ამის ახსნა ძალიან მარტივია: **საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერი ხელმძღვანელისთვის — ქალაქისა იქნება თუ ქვეყნის — ასეთი დოკუმენტი ერთგვარი კონსტიტუციაა და, შესაბამისად, მისთვის ერთგვარ ბორკილს წარმოადგენს, თუმცა კი პირიქით უნდა ხდებოდეს — ეს უნდა იყოს პარტიტურა, რომლითაც იგი ძალაძის თუ ქვეყნის განვითარებას უნდა დირიჟორობდეს.**



ზოგადად თუ ვიტყვით, კონსტიტუცია ორი სახეობისა არსებობს — ერთია სახელმწიფო-პოლიტიკური, მეორე კი მისი არსებობისთვის აუცილებელი პირობების განმსაზღვრელი, რომელმაც უნდა განაპირობოს საზოგადოების ცხოვრების წესი, რომლითაც ხალხი ქვეყნის მთავარ კანონთან დაამყარებს ურთიერთობას. ეს უკანასკნელი კი, ქვეყნის მთავარი კანონის მსგავსად, დროდადრო გარკვეულ დებულებათა გადახედვას, გადახალისებას მოითხოვს, რაც ცხოვრების გამუდმებული ცვალებადობითაა განპირობებული — რაღაცაში პროგრესია, რაღაცაში რეგრესი, იცვლება შიდა თუ გარე ფაქტორები და სხვ., ამდენად, კორექტივების შეტანა აუცილებელი ხდება. ამიტომაც, **ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა არ არის რაღაც სტატიკური, ურყევი, დოგმატური დოკუმენტი. ის არსებულ ვითარებაზე მორგებული უნდა იყოს და ფხიზლად რეაგირებდეს წარმოქმნილ გამოწვევებზე, მაგრამ მისი ხერხემალი მძლავრი და ურყევი უნდა იყოს.**

რაც შეეხება დაანონსებულ განცხადებას სამთავრობო რაიონის შექმნის თაობაზე, დროულად და მნიშვნელოვნად მიმაჩნია. თუმცა ორთაჭალა, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი არ არის. ეს საკითხი, ვფიქრობ, გარკვეულ სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება სხვა ტიპის ურბანული უბნების მშენებლობისადმი მიდგომებისგან.

აქ ზემოთ ნათქვამს დავუბრუნდები: იმის გამო, რომ საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე კავკასიის რეგიონის საკვანძო ქვეყანაა, მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პალიტრაში დროთა განმავლობაში გამუდმებით იზრდება. ამდენად, ახლო პერსპექტივაში თბილისში აუცილებლად საგრძნობლად გაიზრდება უცხო ქვეყნების საელჩოებისა და სხვადასხვა ტიპის წარმომადგენლობათა ოდენობა, რაც ახალი საქმიანი უბნის „სიტი“-ს მშენებლობისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. თბილისის რეალობა კი ისაა, რომ ახალი, ე.წ. „საძინებელი“ რაიონების გამოკლებით, ის პატარა ქალაქია: **მტკვრის მარცხენა ფერდის განაშენიანება თითქმის აეროპორტამდე, ფაქტობრივად, „ნაძალადევია“, საურმე ქალაქი, რომელსაც საფუძვლიანი გადამუშავება სჭირდება ისეთ დონეზე, რომ ხალხმა ღირსეულად თუნდაც მომავალში იცხოვროს.**

როცა მომავალ სამთავრობო უბანზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ მისი ინფრასტრუქტურის მომავალი განვითარების პერსპექტივებზე, ვინაიდან ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურების გარდა, იქ უცხო ქვეყნების საელჩოებიც უნდა გაშენდეს, რომლებსაც თავისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვ. ექნება. ამდენად, მათი სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სივრცობრივი პირობების შექმნაა აუცილებელი.

როცა გაჟღერდა, რომ ახალი სამთავრობო უბნისთვის ორთაჭალაა შერჩეული, ამან, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა და აი, რატომ: **ერთი, რომ ორთაჭალა გეომორფოლოგიურად შეზღუდული, იმ პერსპექტიული განვითარების არმქონე ზონაა, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე. მეორე გარემოება კი, ერთგვარად, მეტაფიზიკური ხასიათისაა: ორთაჭალის გულში ათეული წლების მანძილზე ციხეები იყო, ამიტომ იქ უზარმაზარი უარყოფითი ენერგიაა დაგროვილი, ამდენად, აქ დაფუძნებული ახალი ორგანიზმები განვითარების ვერანაირ მორალურ პრიორიტეტს ვერ მოიპოვებენ.** ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ეს ადგილი რაც შეიძლება მეტად უნდა განიტვირთოს უარყოფითი ენერგეტიკისგან და საჭიროა იქ დიდი დასასვენებელ-გასართობი, სარეკრეაციო ზონები შეიქმნას, რომ დროთა განმავლობაში იქაურობის უარყოფითი მუხტი განეიტრალდეს.

სახელმწიფოს მართვის უმნიშვნელოვანესი ორგანოების რუსთაველის პროსპექტიდან მოშორება რომ საჭიროა, ეს გარემოება ეჭვს არ იწვევს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ისიც საკმაოდაა დატვირთული უარყოფითი ენერგეტიკით, თანაც ნებისმიერი მსვლელობა, თბილისის ტიპოგრაფიიდან გამომდინარე, ბუნებრივად რუსთაველის პროსპექტისკენ მიიმართება. ეს კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ უმთავრესმა სახელმწიფო მართვის სტრუქტურებმა ადგილმდებარეობა შეიცვალონ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი ღრმა რწმენით, **დედაქალაქის განვითარებისთვის ყველაზე საუკეთესო ადგილია თბილისის ზღვის გადაღმა ნაპირის ტერიტორია,** საჯეირანოს რომ ვეძახით. ეს ის მხარეა, რომელიც წინა ხელისუფლებამ ახალი სარკინიგზო ხაზით გაკვეთა და რომელიც, ვფიქრობ, ამ დანიშნულებით ვერ იმუშავებს, მაგრამ საუცხოოდ გამოდგება მეტროპოლიტენისთვის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

ამასთან, თბილისის ზღვა, თავისი არემარითურთ, თბილისისთვის საუკეთესო სარეკრეაციო ზონაცაა, რომლის განაშენიანება არქიტექტურულად არაფრით არ იქნება დამოკიდებული დედაქალაქის გულის ისტორიულ განაშენიანებაზე. საქმე ისაა, რომ ცენტრში ახალი არქიტექტურული სხეულის დადგმისას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს უკვე არსებულ ისტორიული ღირებულების მქონე ობიექტებს, იქ კი არქიტექტორთა აღმაფრენას ამგვარი შებოჭვა აღარ ექნება და უბნის მხატვრულ ხარისხზე ზეგავლენას მხოლოდ ნიჭი მოახდენს. ამ ადგილის მიმზიდველობა ისიცაა, რომ თბილისის ზღვა ქალაქის ცენტრში მოექცევა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ იქაური მიწები სოფლის მეურნეობის საწარმოებლად გამოუსადეგარია.

რაც შეეხება სატრანსპორტო კავშირს, თბილისის ზღვას მეტროს სამი სადგური აკრავს, რაც მიმოსვლას დიდად გააადვილებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბარათაშვილის ქუჩიდან სულ რაღაც 70-მეტრიანი გალერეის ტიპის გვირაბის გაჭრისა და შემდეგ კეთილმოწყობილი გზატკეცილის გაყვანით, ძველი ქალაქიდან ზღვის უბანში მისვლა მანქანით 10-12 წუთში იქნება შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აქ შეიძლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კულტურული და გასართობი ცენტრების, სპორტული კომპლექსების განთავსება, მცირე აეროპორტის აგება. თბილისის შემოვლითი სამანქანო გზა კი, რომელიც დღესდღეობით სავალალო დღეშია და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, ასევე საუკეთესო არხია სარკინიგზო ტრანსპორტისთვის. აქ, ბუნებრივად შემოფარგლულ ზოლში, მაღალი ძაბვის ელექტროხაზები, გაზისა და წყალმომარაგების მილსადენები გადის, რაც საუკეთესო წინაპირობაა სარკინიგზო ტერმინალების განსათავსებლად, რომელთაგან დედაქალაქის ცენტრი დიდი ხანია, გასაცლელია.

ამდენად, ვფიქრობ, სამთავრობო უბნის გასაშენებლად თბილისის ზღვის რაიონი მომგებიანია როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე მხატვრულ-კომპოზიციური, სარეკრეაციო-კულტურული და კიდევ მრავალი სხვა თვალსაზრისით.

ყოველ შემთხვევაში, თბილისის სამომავლო განვითარების საუკეთესო ვარიანტი პირადად მე ასე მესახება.

ჩაიწერა
ოთარ ჭურაბელიძემ

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

ინგლისში სსრ კავშირის ელჩი ივან მაისკი მოგვიანებით პირადად გაიცნობს ამ მგზნებარე „რომეოს“, რომელმაც სიყვარულის გულისთვის ჩაიდინა სახიფათო დანაშაული: „საბჭოთა საზღვარი გრავერმა გადაიფრინა წარმატებულად, მაგრამ მას აღარ ეყო ბენზინი და იძულებული გახდა, დაშვებულიყო კოლმეურნეობის ველზე სადღაც კალინინის მახლობლად. აქ ის დააპატიმრეს და თვითმფრინავთან ერთად ჩაიყვანეს მოსკოვში. დაიწყო გამოძიება. გროვერმა საკმაოდ გულახდილად ილაპარაკა იმ მიზეზებზე, რომლებმაც უბიძგეს მას, დაერღვია საბჭოთა კანონები. **შემთხვევა იყო გამორჩეული და მის შესახებ მოახსენეს მაღალი თანამდებობის უფროსს.** შედეგად გროვერი გაათავისუფლეს. მიიღო ქორწინების ნება და წაიყვანა თავისი ცოლი ინგლისში. ლონდონში ჩასვლის შემდეგ ცოლ-ქმარი მოვიდა ჩემთან და მთხოვა გადამეცა საბჭოთა მთავრობისთვის მადლობა ასეთი დამოკიდებულების გამო.

როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ის მაღალი თანამდებობის უფროსი, ვისაც მოახსენეს და რომელმაც გადაწყვიტა, არ დაეპატიმრებინათ (ან, იქნებ, არ დაეხვრიტათ) რეალურად უკანონოდ საზღვრის გადამკვეთი? იქნებ, „წითელი ქონდრისკაცი“, შინსახკომის მეთაური. ნიკოლაი ეჟოვი იყო ისეთი ლიბერალი, რომ ნება დართო ახალგაზრდა წყვილს, დაქორწინებულიყვნენ და გამგზავრებულიყვნენ? ვის შეეძლო, თუ არა სტალინს, გადაეწყვიტა საკითხი ასე ლამაზად და ასე ადამიანურად?

ეჭვი გეპარებათ? მაშინ კიდევ ერთი სრულიად ფანტასტიკური ისტორია, რომელმაც წერტილი უნდა დაუსვას ამ საკითხს. იგი სტალინის სიკეთეს შეეხება, იგი სტალინის გულთბილობაზეა. 1942 წლის გაზაფხულია, წითელი არმია და ვერმახტი მზად არიან, განაგრძონ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 1941-42 წლის ურთულესი ზამთრის კამპანიის შემდეგ. გავა სულ ცოტა დრო და ნაცისტები გაიჭრებიან სტალინგრადისა და კავკასიისკენ, ჩვენი ქვეყნის ბედი და ომის შედეგი კი კვლავ ბეწვზე დაეკიდება. ცაზე გერმანიის ავიაციის ლამის სრული ბატონობაა. თვითმფრინავები საჭიროა, როგორც ჰაერი. არმიის სარდალს გოლოვანოვს ურეკავს. სტალინი უცნაური შეკითხვით: დროულად გამოჰყავთ ყველა მზა თვითმფრინავი ქარხნებიდან? გოლოვანოვმა უპასუხა, რომ თვითმფრინავები გამოგვყავს მზადყოფნის შესაბამისადო.

გერმანელთა ავიაციის ერთ-ერთი შეტევა.

— ხომ არ გაქვთ მონაცემები, ბევრი თვითმფრინავია აეროდრომებზე, რომლებიც წარდგენილი არიან ქარხნების მიერ, მაგრამ არ ღებულობენ სამხედრო წარმომადგენლები? — შეეკითხა სტალინი.

უმალვე გაეცა პასუხი ამ შეკითხვაზე, გოლოვანოვს არ შეეძლო და სთხოვა ნებართვა, დაეზუსტებინა პასუხისთვის აუცილებელი ცნობები. სათანადო პირებთან კონსულტაციის შემდეგ მოახსენა სტალინს ტელეფონით: ქარხნების მიერ წარმოდგენილი და მიუღებელი თვითმფრინავები ქარხნის აეროდრომებზე არაა. სტალინმა სთხოვა, მისულიყო მასთან.

„კაბინეტში რომ შევედი, დავინახე სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი პ.ფ. ჟიგარიოვი, რომელიც რაღაცას მხურვალედ უმტკიცებდა სტალინს. როდესაც საუბარს დავუგდე ყური, მივხვდი, რომ საკითხი შეეხება თვითმფრინავების დიდ ოდენობას, რომლებიც ქარხნების აეროდრომებზე დგანან. ეს თვითმფრინავები, თითქოსდა, წარდგენილი იყო მისაღებად, მაგრამ არ მიიღეს, როგორც მაშინ ამბობდნენ, „საბრძოლველად“, ესე იგი არ იყვნენ ბრძოლისუნარიანები, ჰქონდათ სხვადასხვა ტექნიკური დეფექტები.

გენერალმა თავისი სიტყვა დაამთავრა სიტყვებით:

— შახურინი კი (ავიამრეწველობის სახალხო კომისარი) თქვენ გატყუებთ, ამხანაგო სტალინ.

— მაშ, გამოვუძახოთ შახურინს, — თქვა სტალინმა... ღილაკს თითი დააჭირა — შემოვიდა პოსკრებიშევი.

— სთხოვეთ შახურინს, მოვიდეს, — გასცა სტალინმა განკარგულება.

სტალინი ჩემთან მოვიდა და მკითხა, თუ ზუსტად ვიცი, რომ ქარხნებში არ არის წარმოდგენილი თვითმფრინავები, რომლებიც მიუღებელია შორეული მოქმედების ავიაციისთვის. მე მოვახსენე, რომ შორეული მოქმედების ავიაციის მთავარმა ინჟინერმა დამარწმუნა: ასეთი თვითმფრინავები არ არის.

— იქნებ, — დავუმატე მე, — მას აქვს მონაცემები დღეისათვის, მაგრამ ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ყოველი თვითმფრინავის გამოშვებას. ჩვენთან, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ახალი ფორმირებები. იქნებ, ერთი ან ორი თვითმფრინავი სადღაც მართლა დგას.

— აქ საუბარი ასეთ ოდენობაზე არაა, — თქვა სტალინმა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოცხადდა ა.ი. შახურინი. მოგვესალმა და გაჩერდა, თან სტალინს მიჩერებოდა.

— აი, აქ გვარწმუნებენ, — თქვა სტალინმა, — რომ ის შვიდასი თვითმფრინავი, რის შესახებაც თქვენ მეუბნებოდით, დგას ქარხნების აეროდრომებზე არა იმიტომ, რომ არ არიან მფრინავები, არამედ იმიტომ, რომ ისინი მზად არ არიან ბრძოლისათვის, ამიტომ არ ღებულობენ სამხედრო წარმომადგენლები, და რომ მფრინავები მატერიალური ნაწილების მოლოდინში იქ თვეობით ცხოვრობენ.

— ეს სიცრუეა, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა შახურინმა.

— ხედავთ, როგორ გამოდის: შახურინი ამბობს, რომ არის თვითმფრინავები, მაგრამ არ არიან მფრინავები, ჟიგარიოვი კი ამბობს, რომ არიან მფრინავები, მაგრამ არ არის თვითმფრინავები. გესმით თქვენ ორივეს, რომ შვიდასი თვითმფრინავი — ეს შვიდი თვითმფრინავი არაა? თქვენ ხომ იცით, რომ ისინი ფრონტს სჭირდება, აქ კი მთელი არმიაა. რა ვქნათ, რომელ თქვენგანს დავუჯეროთ! — იკითხა სტალინმა.

ჩამოწვა დუმილი. მე ცნობისმოყვარეობითა და გაოცებით ვადევნებდი თვალყურს საუბარს: ნუთუ მართალია, რომ მთელი შვიდასი თვითმფრინავი დგას ქარხნების აეროდრომებზე, თუნდაც ბრძოლისთვის მოუმზადებლები, ანდა მფრინავების არ ყოფნის გამო? თვითმფრინავების ასეთი ოდენობის შესახებ, რომლებიც ქარხნების აეროდრომებზე არიან, მე არ გამეგონა. მივჩერებოდი ხან შახურინს, ხან ჟიგაროვს. რომელი მათგანია მართალი?

ფრონტზე ჩვენ ჯარისკაცებს მიწასთან ასწორებს გერმანული ავიაცია. შვიდასი (!) თვითმფრინავი კი ფრონტზე ვერ ხვდება. ჩნდება შეკითხვა: ვინ არის დამნაშავე? და მეორე შეკითხვაც: რას უზამს დამნაშავეებს სტალინი? სიტყვა კვლავ მარშალ გოლოვანოვს მივცეთ.

და აქ გაისმა ჟიგარიოვის მტკიცე ხმა:

— მე, ამხანაგო სტალინ, პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ქარხნებში არსებული თვითმფრინავები ბრძოლისთვის არ არიან მზად.

— თქვენ რას იტყვით? — მიმართა სტალინმა შახურინს.

— ეს ხომ ადვილად შეიძლება შევამოწმოთ, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა მან, — თქვენ აქ გაქვთ პირდაპირი კავშირები. გაეცით განკარგულება, რომ პირადად თქვენ ყველა ქარხნის დირექტორმა მოგახსენოთ ბრძოლისთვის მზადმყოფი თვითმფრინავების შესახებ. ჩვენ ამ ციფრებს შევაჯამებთ და მივიღებთ საერთო რიცხვს.

— სწორი ხართ. ასეც გავაკეთებთ, — დაეთანხმა სტალინი.

დიალოგში ჟიგარიოვი ჩაერთო:

— აუცილებლად საჭიროა, რომ დეპეშებს ქარხნების დირექტორებთან ერთად ხელს აწერდნენ სამხედრო წარმომადგენლები.

— ესეც სწორია, — თქვა სტალინმა.



საბჭოთა ბომბდამშენების აწყობა.

მან პოსკრებიშევი გამოიძახა და მისცა მას შესაბამისი მითითება... უნდა ითქვას, რომ კავშირის ორგანიზაცია სტალინს ჰქონდა ბრწყინვალე. გავიდა სულ ცოტა დრო და მაგიდაზე დააწყვეს დეპეშები ქარხნებიდან დირექტორებისა და სამხედრო წარმომადგენლების ხელმოწერით. დაამთავრა დაანგარიშება გენერალმა სელეზნიოვმაც, რომელმაც არაფერი იცოდა საუბრის შესახებ, აქ რომ მანამდე მიმდინარეობდა.

— რამდენი თვითმფრინავია ქარხნებში? — მიმართა სტალინმა პოსკრებიშევს.

— შვიდასი ერთი, — უპასუხა მან.

— თქვენთან? — შეეკითხა სტალინი სელეზნიოვს.

— მე შვიდასი ორი გამომივიდა, — უპასუხა სელეზნიოვმა.

— რატომ არ გადმოჰყავთ ისინი, — კვლავ სელეზნიოვს მიმართა სტალინმა.

— იმიტომ, რომ არ არიან ეკიპაჟები, — უპასუხა სელეზნიოვმა.

პასუხი, და რაც მთავარია, მისი ინტონაცია არ იწვევდა არანაირ ეჭვს იმაში, რომ ეკიპაჟების არყოფნა ქარხნებში — დიდი ხანია, ცნობილია. მე მწერალი არა ვარ, თუმცა, მეჩვენება, რომ მწერალიც, მეტად ნიჭიერიც კი, ვერ შეძლებდა, გადმოეცა ის შთაბეჭდილება, რაც გენერალ სელეზნიოვის პასუხმა გამოიწვია, ყველა ის ემოცია, რაც დამსწრეთა სახეზე გაჩნდა. არ შემიძლია, შევარჩიო შედარებები, ვინაიდან გოგოლის კომედიის სახელგანთქმული სცენაც კი რეპლიკის შემდეგ „ჩვენთან მოდის რევიზორი“ შეუდარებელია იმასთან, რაც მე მაშინ სტალინის კაბინეტში ვიხილე. შეუდარებელია იგი, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ აქ იყო ცოცხალი, თუმცა სამწუხარო სინამდვილე. ყველა დამსწრე, მათ შორის სტალინიც, გაყუჩდა და იდგა უძრავად, და მხოლოდ სელეზნიოვი გვიყურებდა მშვიდად ყველა ჩვენგანს, არ ესმოდა, რაში იყო საქმე... ეს საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ვერავინ, შახურინმაც კი, რომელიც მართალი აღმოჩნდა, ვერ გაბედა, გაეგრძელებინა საუბარი. ის, როგორც იტყვიან, მზად იყო ბრძოლისთვის, მაგრამ თავადაც, ეტყობა, გაოცებული იყო პასუხის სიმარტივითა და სიმართლით. შემთხვევა აშკარად იყო უპრეცედენტო. რაღაც მოხდება ახლა?!

პ. ფ. ჟიგარიოვი.

კიდევ ერთხელ დავაზუსტებ სიტუაციას. სამხედრო-საჰაერო ავიაციის სარდალი გენერალი პ.ფ. ჟიგარიოვი პირდაპირ სტალინის კაბინეტში თავხედურად ატყუებდა უმაღლეს მთავარსარდალს. შვიდასერთი გამართული თვითმფრინავი დგას ქარხნებში იმიტომ, რომ არ აგზავნიან ეკიპაჟებს, რათა წაიყვანონ ეს თვითმფრინავები. და ეს ხდება — 1942 წლის გაზაფხულზე. წითელი არმიის ათასობით ჯარისკაცი იღუპება გერმანიის ავიაციის აქტიური მოქმედების გამო. აი, თქვენ პირადად — რას გააკეთებდით სტალინის ადგილზე? რას გაუკეთებდით გენერალ ჟიგარიოვს?

„შევხედე სტალინს. მას ფერი აღარ ჰქონდა და ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ჟიგარიოვს, ეტყობა, უჭირდა მომხდარის გააზრება. იგრძნობოდა, ის გააოგნა არა იმან, რომ თვითმფრინავების ამდენი უზარმაზარი რიცხვი დღემდე არ არის ფრონტზე, რაც მისთვის ცნობილი იყო, არ არის დაზუსტებული მხოლოდ მიზეზები, არამედ იმ რწმენამ და თავდაჯერებულებამ, რითაც გენერალი ლაპარაკობდა სიცრუეს. დაბოლოს, სტალინის სახე ვარდისფერი გახდა, სჩანდა, რომ მან თავი ხელში აიყვანა. როდესაც ა.ი. შახურინსა და ნ.პ. სელეზნიოვს მიმართა, მადლობა გადაუხადა მათ და დაემშვიდობა. მინდოდა მათი მაგალითისთვის მიმებაძა, მაგრამ სტალინმა ჟესტით შემაჩერა. ის ნელა მივიდა გენერალთან. მისი ხელი თანდათან მაღლა აიწია. „ნუთუ გაარტყამს?“ — გამიელვა აზრმა თავში.

— არამზადავ! — უზარმაზარი ზიზღის გამოხატვით თქვა სტალინმა და ხელი დაუშვა. — გაეთრიე აქედან!“

გააკეთა სტალინმა დასკვნები ამ შემთხვევიდან? რასაკვირველია. 1942 წლის აპრილში (და არა მარტში, როგორც შეცდომით მარშალი გოლოვანოვი წერს) მარშალი მოიხსნა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის თანამდებობიდან. რა სასჯელი მიიღო იმან, ვინც ქარხნებში აყოვნებდა შვიდ ასეულ მზა თვითმფრინავს უსაშინლესი ომის დროს? და ამ დროს პირში სიცრუეს ეუბნებოდა თავად სტალინს? დახვრიტეს? აი, ინფორმაცია ტუპოლევის კონცერნის საიტიდან გენერალ ჟიგარიოვის ბედის შესახებ:

„1942-1945 წლებში სარდლობდა შორეული აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალებს. 1946-1948 წლებში — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის პირველი მოადგილეა. 1948 წლის მარტიდან 1949 წლის მაისამდე — შორეული ავიაციის სარდალია. 1949-1957 წლებში სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სარდალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. გარდაიცვალა 1963 წელს. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე“.

თარგმნა

ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86

მშიერ ხალხს მთავარი ავიწყდება!

რატომ აღარ არის ქართველებისთვის ქვეყნის გამთლიანება პრიორიტეტი?

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებულმა არაერთმა სოციოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა ის სამწუხარო, საშინაო ან მთლად საშინაო თუ არა, მინიმუმ, საყურადღებო ფაქტი, რომ უმუშევრობა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები მოსახლეობისთვის უფრო აქტუალურია, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ძნელია, ამაში მხოლოდ მოსახლეობა დაადანაშაულო იმ ფონზე, როცა წლების განმავლობაში, ხელისუფლებების ცვლის მიუხედავად, საქართველოში ვერც უმუშევრობა დაიძლია, ვერც სოციალური სიდუხჭირე და ვერც რიგითი მოქალაქისთვის საჭირბოროტო სხვა უამრავი პრობლემა, რომელთანაც მას ყოველდღიურად უწევს ბრძოლა. ტერიტორიული გამთლიანების ნაკლებ პრიორიტეტულობაზე საუბრისას რესპონდენტები სწორედ ამით იმართლებენ თავს. და შესაძლოა, სადღაც გულის სიღრმეში რომელიმეს რცხვენია კიდეც, თუმცა მთლიანობაში კვლევების მსგავს სავალალო შედეგს, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება და უკვე ტენდენციად იქცა, თითქოს ყველა შეეგუა — მოსახლეობაც და ხელისუფლებაც. სამაგიეროდ იგი შესამჩნევი გახდა ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო მმართველებისთვის, რომელთათვისაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მსგავსი განწყობები დამატებითი ბერკეტია იქაურ მცხოვრებლებზე პროპაგანდისტული ზემოქმედებისთვის, იქაური ქართველობისთვის კი — უკანასკნელი იმედის ჩამკვლელი გარემოება.

ეს თემა, სრულიად მოულოდნელად, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ წამოჭრა ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის პირველ დიპლომატ სერგეი ლავროვის ამასწინანდელი ვიზიტისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე, ამ ვიზიტზე ოფიციალური თბილისის უჩვეულოდ მწვავე რეაქციის კომენტირებისას:

„იცით, რეალურად, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა არ იცვლება. უბრალოდ არის პერიოდები, როდესაც ამ რიტორიკის სიმწვავე ოდნავ იკლებს, ხოლო ზოგჯერ პირიქით, პიკს აღწევს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აფხაზეთში ვიზიტს არ შეეძლო, თბილისში მსგავსი რეაქცია არ გამოეწვია. თუმცა ჩვენ პერიოდულად შევახსენებთ ჩვენს მეზობლებს და მათ დასავლელ პარტნიორებს, რომ უკვე დროა, აღიარონ არსებული ახალი რეალიები. ერთი საინტერესო დეტალი: ალბათ, თქვენც ადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და აი, ამასწინათ წავაწყდი საქართველოს მოსახლეობას შორის ჩატარებული ერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგებს. სხვა საკითხებთან ერთად, დასმული იყო კითხვა აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ. მინდა, გითხრათ, რომ პროცენტული რაოდენობა რესპონდენტებისა, რომელთათვისაც ეს თემა აქტუალურია, ძალიან მკვეთრადაა დაცემული“.

„აქცენტს“ ბოლოდროინდელი სოციოლოგიური კვლევების ამ სავალალო შედეგზე და მდგომარეობის გამოსასწორებლად მუშაობის გააქტიურების აუცილებლობაზე ადრეც გაუმახვილებია ყურადღება. ეს საკითხი უკვე არაერთხელ დაისვა „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის“ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში სააგენტოს ორგანიზებით ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან გამართულ შეხვედრებზეც. ამ კონტექსტში აღინიშნა ომის შემდგომ თაობების ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემაც, კერძოდ, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს, წინა თაობისგან განსხვავებით, არა აქვთ პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება. ყველა თანხმდება, რომ ამ პრობლემის დასაძლევად განსაკუთრებით ახალგაზრდებთან მეტი მუშაობაა საჭირო. თუმცა...

„...გეთანხმებით, მაგრამ საკითხავია, ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? ვფიქრობ, რომ ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. ჩემმა უწყებამ თავისი უნდა აკეთოს, ასევე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, არასამთავრობო სექტორმა... აქ საჭიროა მრავალშრიანი მიდგომები — მუშაობა ახალგაზრდობასთან აქაც და იქაც, არასამთავრობო სექტორთანაც ენგურის ორივე მხარეს... შეიძლება, გაიმართოს კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, შეხვედრები ადგილებზე, დევნილი მოსახლეობა უნდა ჩაერთოს სოციალურ თუ ეკონომიკურ პროექტებში, რომლებიც შეიძლება, დააფინანსოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, უცხოელმა პარტნიორებმა და ა.შ. ის აქტივობები, რომელიც ადრე იყო, სადღეისოდ აღარაა. ჟურნალისტების, ასევე ახალგაზრდების შეხვედრები დგება პერიოდულად, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ფრაგმენტულია. საჭიროა უფრო აქტიური, კომბინირებული ღონისძიებები, რომ წავიდეთ სიღრმეებში, მოვიცვათ მეტი ახალგაზრდა“, — ამბობს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**.

ამ მიმართულებით მას ჰქონდა იდეა, სოხუმის უნივერსიტეტში გაკეთებულიყო კათედრა მშვიდობის ლიდერების მოსამზადებლად, რომლებიც შემდგომ კონკრეტულ პროექტებს წაუძღვებოდნენ. თუმცა იდეა იდეად დარჩა:

„სამწუხაროდ, ეს იდეა ვერ განხორციელდა, რადგან ფინანსებთან იყო დაკავშირებული და თავად ინსტიტუტშიც დიდი აღფრთოვანებით არ შეჰხვედრიან. ცხუმ–აფხაზეთის ეროვნულ აკადემიასთან ერთად გავაკეთეთ მსგავსი რამ: შეიქმნა ჯგუფი, რომელიც მესამე–მეოთხე კურსის სტუდენტებთან მუშაობდა. მაგრამ არც ესაა სისტემური. თვითკრიტიკით უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გვიჭირს სისტემური მიდგომა. ჩვენი უწყება ძირითადად ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული. ჩვენ შევქმენით პატარა უწყება, მინისტრთა კაბინეტის მსგავსი, რომელიც სამშვიდობო პროექტებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. სამი პროექტი განახორციელა... მაგრამ არც ეს იყო სისტემური: იყო რამდენიმე შეხვედრა და სხვაგან ვერ „გავშალეთ ფრთები“... ასე, რომ იდეები არის, მაგრამ მათ სჭირდება ნება, ნებისყოფა და სახსრები“.

პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში „აქცენტს“ იმაზეც არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება, რომ სახელმწიფო ჯეროვნად არ მუშაობს თავად საქართველოს მოსახლეობასთან მისთვის კონფლიქტების მოსაგვარებლად შერჩეული მშვიდობიანი კურსის არსის, მისი მართებულობის მიზეზების, მოსალოდნელი შედეგების განსამარტად. შედეგად ხშირად მთავრობისა და მოქალაქეების ხედვები ამ მიმართულებით ერთმანეთს არ ემთხვევა. თუ ინტერნეტ-ფორუმებსა და სოციალურ ქსელებს გადავლებთ თვალს, აშკარად იგრძნობა საზოგადოების ნიჰილიზმი ოფიციალური თბილისის მიერ გაცხადებულ სამშვიდობო პოლიტიკასთან მიმართებაში. გასაგებია, რომ სახელმწიფოს რესურსი შეზღუდულია, მაგრამ არსებობს საზოგადოების მეტ-ნაკლებად აქტიური ნაწილი, რომელიც ამ მიმართულებით საკუთარი რესურსით მოქმედებს და ხელისუფლებას ალბათ, შეუძლია, ამ აქტიურ საზოგადოებას კოორდინაცია გაუწიოს, საერთო საქმეში ჩართოს, რათა ნაბიჯები შეთანხმებულად, კოორდინირებულად გადაიდგას.

„გეთანხმებით, მეტი მიზანმიმართული საქმიანობა გვჭირდება. ამ მიმართულებით სამი უწყება მუშაობს: აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომიტეტი. მეტი კოორდინაცია შეიძლებოდა და ერთობლივი პროგრამების ჩამოყალიბება-განხორციელება. დიახ, კოორდინაციის კუთხით არის პრობლემა და ამას ვაღიარებ“, — ამბობს ამასთან დაკავშირებით ვახტანგ ყოლბაია.

„კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი კანაშვილი** ფიქრობს, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების თემა აქტუალურობას ვერ დაკარგავს, თუმცა ხელისუფლებას საზოგადოებასთან მუშაობისა და რიგი სხვა მიმართულებით გააქტიურება ნამდვილად მართებს:

„ეს საკითხი აქტუალურობას ვერც დაკარგავს თუნდაც იმის გამო, რომ ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ე.წ. სასაზღვრო ზოლთან ადამიანებს ლამის ყოველდღე აკავებენ. სახეზეა სხვა აქტუალური პრობლემებიც. თუმცა სახელმწიფომ სხვა მიმართულებით უნდა იაქტიუროს: ჩვენთან უნდა არსებობდეს ინსტიტუციები — არასამთავრობო ორგანიზაციები თუ საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც კონფლიქტებთან მიმართებაში დაგროვდება ცოდნა, ინფორმაცია, ექსპერტიზა და ა.შ. ეს დღემდე არ ხდება. არც ერთ ინსტიტუციას, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციას არა აქვს რესურსი სახელმწიფოსგან, რომელიც ამ მიზნით იქნებოდა გამოყენებული. ყოველი მსგავსი აქტივობა წლიდან წლამდე ხან — ბრიტანეთის, ხან — გერმანიის, ხან — ამერიკის შეერთებული შტატების და სხვათა დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ასეა ქვეყანა ამ კუთხით „მიგდებული“ სხვა სახელმწიფოების კეთილ ნებაზე, თავად კი არაფერს აკეთებს“.

კანაშვილი თავადაც ჩართულია გარკვეულ აქტივობებში, კერძოდ, მონაწილეობს ოსური თუ აფხაზური მხარეების წარმომადგენლებთან შეხვედრებში. ექსპერტი ისურვებდა, სახელმწიფო ამ მხრივაც უფრო აქტიურად ჩართულიყო საქმეში:

„მთავარია, ხელი არ შეგვიშალონ და პერიოდულად გამონახონ დრო, თავადაც ჩაერთონ ამ შეხვედრებში. კარგი იქნებოდა, უფრო აქტიურად გაგვეცვალა ერთმანეთში ხედვები, რაც ხდება, მაგრამ არა იმდენად ინტენსიურად, რამდენადაც სასურველია და აუცილებელიც, თუნდაც ქართული საექსპერტო საზოგადოებისთვის“.

რაც შეეხება შერიგების პოლიტიკისადმი ქართველი საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობას, კანაშვილის შეფასებით, საყოველთაო შერიგების კონტურები ნამდვილად არ ჩანს და ამას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები აქვს:

„ობიექტურად, კონფლიქტების დღეს ან ხვალ მოგვარება შეუძლებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან ამ მიმართულებით რაღაც რეალურად კეთდება. თუმცა გეთანხმებით, საზოგადოებასთან, რომლის განწყობები კონფლიქტის მოგვარების ფორმებთან დაკავშირებით ყოველთვის ცვალებადია, მეტი კომუნიკაცია, მეტი განმარტებითი მუშაობაა საჭირო, მაგალითად, ფუნდამენტური საჯარო ლექციების სახით. როცა რომელიმე მინისტრი სატელევიზიო გამოსვლისას სამშვიდობო პოლიტიკას ახსენებს, ეს კარგია, მაგრამ საზოგადოებისთვის უკეთ უნდა განიმარტოს, რატომ და რისთვის მივყვებით ამ კურსს: პაცეფისტები ვართ, თუ რაღაც რაციონალურ გათვლას ეფუძნება ეს პოლიტიკა? ამაზე ფუნდამენტური მუშაობაა საჭირო სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართულობით“.

„აქცენტი“

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით

ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს, წინა თაობისგან განსხვავებით, არა აქვთ პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება. ყველა თანხმდება, რომ ამ პრობლემის დასაძლევად განსაკუთრებით ახალგაზრდებთან მეტი მუშაობაა საჭირო. თუმცა...

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

18 ნოემბერს – „მილენიუმზე“

„დრაკონები“ ნოემბერში ოთხ ტესტს გამართავენ – სამს სამხრეთელ ბობოლებთან და ერთს, „ბორჯღალოსნებთან“. ოთხივე შეხვედრა პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სარაგბო არენაზე „მილენიუმზე“ მოეწყობა (ამჟამად „ფრინსიფალითი სთედიუმი“ ეწოდება), რომელიც 75 ათას ქომაგს იტევს. 2015 წლის მსოფლიო თასზე სწორედ ამ სტადიონზე შედგა ისტორიაში პირველი რკენა „ბორჯღალოსნებსა“ და „ოლ ბლექსს“ შორის.

უელსი 11 ნოემბერს ავსტრალიას მასპინძლობს, „ბორჯღალოსნებს“ 18-ში ეთამაშება და შეხვედრა ადგილობრივი დროით 14:30 საათზე დაიწყება, 25 ნოემბერსა და 2 დეკემბერს კი უელსი, შესაბამისად, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას შეებმება.

ისევე, როგორც 2016 წელს იაპონიასთან მატჩისას, უელსისა და საქართველოს მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 20 და 35 გირვანქა სტერლინგი იქნება, ხოლო 16 წლამდე მოზარდებისთვის 10 გირვანქა ეღირება.

ბილეთები პრო 12-ში მოთამაშე ოთხივე უელსური ფრანჩიზის სტადიონის სალაროებში უკვე იყიდება, მასიურ და ონლაინ გაყიდვაში კი 9 ივნისიდან ჩაუშვებენ.

უელსის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი მარტინ ფილიპსი იმედოვნებს, რომ ახალი ფასი გულშემატკივრის ნაკადის მატებას გამოიწვევს და ნოემბრის ოთხივე თამაში სავსე ტრიბუნების წინაშე ჩატარდება:

„წინ ნოემბრის სერიის ოთხი შესანიშნავი ტესტი გველის ავსტრალიის, საქართველოს, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. გვსურს, რომ სტადიონზე მისვლა და თამაშის ცოცხლად ხილვის შესაძლებლობა მაქსიმალურად ბევრ ადამიანს ჰქონდეს. სწორედ ამას ემსახურება ახალი ფასების დადგენა და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს გუნდს მხურვალე მხარდაჭერა ექნება. ვიცით, რომ მსოფლიოში უდიდესი სარაგბო სტადიონი გვაქვს და გვსურს, ის ყველა თამაშზე პირთამდე გაივსოს“.

კობა კობახიძე

◎ კარგი ამბავი

ქართული ტრიო ესპანური ლიგის MVP-ის ტიტულისთვის იბრძვის

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები ესპანეთის უმაღლესი ლიგის საუკეთესო კალათბურთელის წოდებისთვის იბრძვიან. თორნიკე შენგელია, ბექა ბურჯანაძე და გიორგი შერმადინი ლა ლიგის MVP-ის ტიტულის მაძიებელთა სიაში დაასახელეს.

გულშემატკივრებს ხმის მიცემა ყოველ 24 საათში ერთხელ Facebook-ზე, Twitter-სა და Instagram-ზე ჰეშთეგით #MVPMovistar და ოფიციალურ ვებ-გვერდზე სასურველი კალათბურთელის სახელითა და გვარით შეუძლიათ.

ქართველი კალათბურთელების მხარდასაჭერად ყოველდღიურად სამ სოციალურ ქსელში #MVPMovistar Giorgi Shermadini, #MVPMovistar Beqa Burjanadze, #MVPMovistar Tornike Shengelia დაწერაა საჭირო.

ხმის მიცემა გუშინ დაიწყო და 13 მაისს ღამის 2 საათზე შეწყდება სოციალური ქსელი იქნება ერთერთი სეგმენტი, სადაც საუკეთესოს გულშემატკივართან ერთად მოთამაშეები, მწვრთნელები და ჟურნალისტები გამოავლენენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მშვენიერი ალინა და ბარზან კოკოითი

ფოთს იქით, შავი ზღვის მეორე კიდეზე მდებარე ვლახთა ქვეყანაში ლამაზმანთა გოგმანი ნამდვილად არაა იშვიათი ამბავი, მაგრამ ამ ლამაზმანთა შორისაც კვლავაცვე გამოირჩევიან ისინი, რომლებიც თავს რუმენეთის უპირველესი საფეხბურთო კრებულის თილისმად რაცხენ და ამ ამბავში კაცი არაა მათი შემკამათებელი.

ცნობილმა კარპატელმა მოდელმა ალინა ვაცარიუმ ასე 1 წელი იქნება, რაც თავი რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ავგაროზად გამოაცხადა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დღეს მთელი ევროპის ბულვარული მედია ამ ხელიხელსაგოგმანები ასულის მომაჯადოებელი ფოტოებით გავსებულიყო.

ალინა სამოდელო საქმეს ძირითადად ლონდონში ეწევა და იქაც გვარიანი სახელი დაიგდო, მაგრამ პოდიუმის ფიცარნაგზე კოხტად გავლა-გამოვლა რა ბედენაა, როდესაც სპორტის მოყვარულთა გულში ზიხარ?! თუმცა, მხოლოდ სპორტთან კავშირიც არაა ხოლმე პოპულარობისთვის გადამწყვეტი. აი, მაგალითად, ედუარდ კოკოითის ძმა ტარზან კოკოითი მოჭიდავე იყო, მაგრამ მოგვიტევეთ და ის კაცი ადრეც და ახლაც ყველას ფეხებზე ჰკიდია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ლეგიონერი

იტალიური „ემპოლისთვის“ სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა – საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამ-

მჭედლიძე მოედანს მალე დაუბრუნდება

სხმელი ლევან მჭედლიძე თავს უკეთ გრძნობს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, ითამაშებს თუ არა ფეხბურთელი კვირას „სასუოლოსთან“ მატჩში.

როგორც მედიკოსები ამბობენ, 27 წლის ფეხბურთელის ტრავმა რთული არ აღმოჩნდა, მაგრამ იმისათვის, რომ მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აიცილონ, შემოწმებები ინტენსიურად უტარდება.

შეგახსენებთ, რომ ლევან მჭედლიძემ მუხლი „მილანთან“ დაპირისპირების დროს იტკინა, რომლის წინააღმდეგ ქართველმა გოლით გამოიჩინა თავი.

გიორგი შოთაძე

◎ ღირსეული

კეთილი ადამიანის განსახიერება

ასეთი ალალი მეგრელი სანთლით საძებარიაო – აღტაცებას ვერ მალავდა ძვირფასი კოლეგა ვაჟა დანელიას გაცნობის შემდეგ.

ეს მისთვის იყო სასიამოვნო სიურპრიზი, კიდევ ერთი კეთილშობილი, გარკვეულწილად – მიამიტი პიროვნების აღმოჩენა, თორემ ჩვენთვის უანგარო სიკეთესთან წილნაყარი თანამოკალმე კარგა ხანია, გაშიფრულია და ის უფრო გაგვიკვირდებოდა, სხვაგვარად რომ შეეცნო. ეტყობა, მის ცხოვრებისეულ კრედოსაც შეესატყვისება: მეგობარი მეგობარს ანაცვალებს თავსო.

ვისაც ამ კოლხ კაიყმასთან შინაურული ურთიერთობა გვარგუნა უფალმა, მადლობას ვწირავთ მის მშობლიურ ნოსირსა და, მეტადრე, საფიცარ ხატად ქცეულ აღმზრდელ დედას, ვისთანაც დღესაც ყოველ საერო თუ რელიგიურ დღესასწაულზე პატარა ბავშვივით მიიჩქარის.

პირადად ჩემთვის ვაჟა დანელია უკვე შორეული სიყმაწვილიდან მოდის, როცა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტს განგებამ უძლიერესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ტეხურის ტალღებში უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული მამის სახით. ალბათ, სიმბოლურიცაა, იმდროინდელი ტრაგედია მოგვიანებით სიხარულის ცრემლმა რომ შეუცვალა – დარწმუნებულნი ვართ, სრულიად საქართველოს ახსოვს ოლიმპიურ ათენში ზურაბ ზვიადაურის ტრიუმფის შემდეგ აქვითინებული სულით

ძლიერი თანამემამულე ჟურნალისტი, სატელევიზიო კადრებში რომაა აღბეჭდილი მომავალ თაობათა სამაგალითოდ.

მომავალი თაობები ვახსენეთ და ლოგიკურიცაა, სტუდენტთა საყვარელი ლექტორი და ასოცირებული პროფესორი ათწლეულების განმავლობაში რომ აზიარებს თავანკარა დედაენის საიდუმლოებებს თვისტომთ თუ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რაც, დაგვეთანხმებით, განსაკუთრებითაა დასაფასებელი.

ისე, დაფასება მართლაც არ აკლია უამრავი ლირიკული ლექსისა და პროზაული ნაწარმოების ავტორს, არაერთხელ რომ დაიმსახურა სხვადასხვა რანგის ჯილდოები და წოდებები, მაგრამ აღსანიშნავად მაინც საპატიო სენაკელთა კოჰორტაში მისი დასახელება მიგვაჩნია. დიახ, ბევრისთვის აუხდენელ ოცნებადაა ქცეული ოდაბადეში აღიარება, ჩვენს მეგობარს კი, როგორც კეისარს კეისრისა, ისე მიაგეს სათანადო პატივი იმ მადლიან მხარეში, სადაც მისი აკვანი დაირწა.

გვჯერა, წიგნიერი ქართველობა და სპორტული სამყარო კიდევ კარგა ხანს გაეცნობა თანამედროვე ქართული პრესის გამორჩეულად ბარაქიანი წარმომადგენლის პროფესიონალიზმით მადლცხებულ წერილებს, ყოველდღიურად რომ ქვეყნდება „ლელოსა“ და ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

სხვათა შორის, ერთგულების კიდევ ერთ გამოვლინებად გვესახება ის ფაქტი, რომ ძველი ლელოელი, „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ერთად, სწორედ იმ პოპულარულ რედაქციაში მოღვაწეობს, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ საბრძოლო ნათლობა მიიღო.

მასწავლებელი ზოგჯერ უშვილოო... კი უთქვამს პოეტს, მაგრამ ვაჟა დანელია თავისი უკიდეგანო სიკეთით წარმატებით უმკლავდება ამ სტრიქონებს. სხვა მრავალთა მსგავსად, მისი გადაუხდელი ამაგი ჩემს ბიოგრაფიასაც ამშვენებს.

ხვალ ვაჟა დანელიას 65 წელი უსრულდება. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით საპენსიო ასაკს გილოცავთ და დღეგრძელობას გისურვებთ, ძმაო!

გია პლატონიშვილი

სანთელი

რეზო გაგუა



გარდაიცვალა გამოჩენილი ონკოლოგი, ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რეზო გაგუა.**

იგი დაიბადა 1944წ. ქ. ფოთში. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს. ბატონი რეზო ეკუთვნოდა იმ გამორჩეულ ქართველ მეცნიერთა რიგს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ მედიცინაში. მისი სახელი ასოცირდება თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს დარგთან, ონკოლოგიასთან, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში.

პროფ. რ. გაგუამ იტვირთა ურთულესი მისია - ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი მოეძებნა გამოსავალი და მძიმე დიაგნოზის შემთხვევაშიც ებრძოლა პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად. ყველა მისი ინტერვიუ თუ ჩვეულებრივი საუბარი იწყებოდა სიტყვებით: *„კიბო დიაგნოზია, და არა განაჩენი“*. ასობით გადარჩენილმა სიცოცხლემ და მადლიერმა პაციენტმა განაპირობა ქართველი საზოგადოების მისდამი ასეთი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და ქირურგი თავისი განვლილი ცხოვრების წესით მისაბაძი გახდა ახალგაზრდა თაობებისათვის. სამაგალითო ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

ბატონი რეზოს ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა ონკოლოგიური სკოლა, რომელმაც ქვეყანას აღუზარდა არაერთი გამოჩენილი ექიმი-ონკოლოგი. მათი უმეტესობა დღეს დამოუკიდებელი და სახელმოხვეჭილი მეცნიერია. რ.გაგუას უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა, პერსპექტიული ექიმების მომზადებაში, რომლებიც დღეს ნაყოფიერად მუშაობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროფ. რ. გაგუას ძირითადი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის სფეროს წარმოადგენდა თორაკალური ქირურგია - ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა და მკურნალობა, შუასაყარის ახალწარმონაქმნების ქირურგიული მკურნალობა, ტრაქეო-ბრონქული ქირურგია და ოპერაციის შემდგომ გართულებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი ეფექტური გზების ძიება. მის მიერ საქართველოში პირველად განხორციელდა ფილტვის სიმსივნის დროს პერიფერიული ბრონქების კათეტერიზაცია ფიბრობრონქოსკოპის საშუალებით, ტრაქეის გულმკერდის ნაწილის ცირკულარული რეზექცია, ლობექტომია მთავარი ბრონქის ცირკულარული რეზექციით და ტრაქეის ბიფურკაციის რეზექცია. დაწყებულ იქნა ფილტვის რეციდივებისა და მეტასტაზური სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა. ბატონი რეზო არის რიგი გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების, 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი.

მისი დიდი ღვაწლი მეცნიერებისა და პრაქტიკული მედიცინის წინაშე აღინიშნა არაერთი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ჯილდოთი. იგი იყო სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი, არაერთი სამეცნიერო და საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიაში, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

რთულია, ჩამოთვალო ყველა ის მიღწევა, რამაც განაპირობა მისდამი ესოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. ასეთი დაფასება და აღიარება თავისთავად არ მოდის, მის უკან არის დაუღალავი შრომა, სიძნელე და დაბრკოლება. ბატონი რეზოს მიერ განვლილი გზა - ეს არის ღირსეული, სამაგალითო ადამიანის ცხოვრების გზა.

პროფესორ რეზო გაგუას სახელი დაუვიწყარი დარჩება მთელი სამედიცინო საზოგადოებისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება

უნივერსალური სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას

რეზო გაგუას

გარდაცვალების გამო.

პროფესორი, ონკოლოგი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, დიდი ადამიანი, დიდი ექიმი, პროფესიონალი. ვწუხვართ და ვიზიარებთ ამ დიდ ტკივილს.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახელოვანი მამულიშვილის, გამოჩენილი ონკოლოგ-ქირურგის, თავისი სამშობლოსა და ერის გულანთებული პატრიოტის, ფონდის მიერ განხორციელებული სამედიცინო პროექტებში აქტიური მონაწილის, დიდი მხარდამჭერისა და მისი ბრწყინვალე შემფასებლის, უკეთილშობილესი და სათნოებით მოსილი პიროვნების, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატის, პროფესორ

რეზო გაგუას

უეცარი გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს, მის კოლეგებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

აკადემიკოსი რევაზ გაგუა

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი დიდ მწუხარებას გამოხატავს ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორის, მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის **რეზო გაგუას** გარდაცვალების გამო. განუზომელია ბატონი რეზოს დამსახურება მედიცინის წინაშე. მის სახელს უკავშირდება საქართველოში ონკოლოგიის, როგორც დარგის განვითარება და მისი ღირსეული წარმოჩენა მსოფლიო მასშტაბით.

ბატონი რეზო გახლდათ გამორჩეული პედაგოგი. ის სდასუს დაარსების დღიდან, აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, პირნათლად ემსახურება ახალგაზრდა თაობის სამედიცინო განათლების საქმეს. მისი პროფესიონალიზმი და ადამიანური ღირსებები - თავმდაბლობა, უშუალობა, დიდი პასუხისმგებლობა, უშურველად სიკეთის კეთება, დაუშრეტელი ენერგია, განუმეორებელი ღიმილი, მუდამ დარჩება კოლეგებისა და სტუდენტების სანიმუშო მაგალითად.

ქვეყანამ დაკარგა დიდი საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერი და ჭეშმარიტი ერისკაცი.

სამარადისო დიდება მის სახელს!

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა დიდი გულისტკივილით იუწყება გამოჩენილი მედიკოსის, ქ. ფოთის საპატიო მოქალაქის, ბავშვობის მეგობრის

რევაზ გაგუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე სამძიმარს უცხადებენ ბუსკა გეწაძეს დედის

დუშა ამბროსის ასულ მშვილდაძე-გეწაძის

გარდაცვალების გამო.

ავარიას 10 წლის ბავშვი ემსხვერპლა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში. შემთხვევას 10 წლის ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. წინასწარი ინფორმაციით, მეოთხე კლასის მოსწავლე სახლიდან გამოვიდა და ქუჩის გადაკვეთას ცდილობდა, რა დროსაც ავტომობილი დაეჯახა.



სასწრაფო დახმარებამ დაშავებული გურჯაანის საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

დმანისში ნარკოდილერი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დმანისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ტ.რ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისი-გუგუთის საავტომობილო გზაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი საკუთარი ავტომანქანით დმანისიდან მარნეულის მიმართულებით გადაადგილდებოდა. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 0,13 გრამი ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღო. ბრალდებულის სახლის ჩხრეკისას კი, ნივთმტკიცებად ამოღებულია 15 შეკვრად დაფასოებული 6,0509 გრამი ჰეროინის შემცველი ნარკოტიკი და 10,0445 გრამი ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება. სულ ამოღებულია 16,29617 გრამი ჰეროინი.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტ.რ. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გენო კალანდიას ხსოვნას

„როდესაც წავალ, განგების ნებით...“

40 დღე გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ღირსეული მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი პოეტი **გენო კალანდია**.

ჯერ კიდევ კარგად არ არის გაცნობიერებული ის დანაკლისი, რომელსაც სრულიად საქართველოს და, განსაკუთრებით აფხაზეთის დევნილი ინტელიგენცია, დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტად შეიგრძნობს.

ბატონი გენოს მჭექარე, ომახიანი, თუმცა, უკანასკნელ წლებში ხანგრძლივი ლოდინით გაფერმკრთალებული, ოდნავ ჩახრინწული ხმისა და, მისი ძარღვიანი, მშობლიური კუთხის სურნელით გაჯერებული ლექსების გარეშე ძნელი წარმოსადგენია მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები, რომლებიც ასე ძალიან უყვარდა...

საკუთარი შემოქმედების თაყვანისმცემელთა სიმრავლით, მათი სიყვარულით განებივრებულს მაინც სულ მკითხველებთან შეხვედრა ენატრებოდა, რამეთუ მათგან იღებდა ძალას, საზრდოს, რომელსაც მერე ისევ უკან გვიბრუნებდა შესანიშნავი კრებულების სახით. „ფესვები“, „მიწის ჭრილობა“, მწუხრის არაბესკები“, „მესამე თვალი“, „ასი სონეტი“, „ასი ლექსი“ „რეკვიემი“, „ისევ რეკვიემი“ ... აი, მცირე ჩამონათვალი იმ მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი გამოცემებისა, რომლებიც დღეს უკვე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კუთვნილებაა.

და ბოლოს... გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოცემული, მისი შესანიშნავი „საგალობლები უფლისთვის“, რომელიც დრო-ჟამის ქარტეხილებით გადაღლილი სულის მტკივნეული ამოძახილია, სიმბოლური წერტილია ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულისა და ერთგვარი საგზური საუკუნო განსასვენებლისკენ.

... წერდა და წერდა, არ იღლებოდა მისი კალამი, ვერ დაიხარჯა ქვეყნის, ერის, მშობლიურ ბუდეებს მოწყვეტილი ხალხის, მისი საამაყო ოდიშ-სამეგრელოს, ტკივილებამდე მონატრებული აფხაზეთის სიყვარულში და ასე, ბოლომდე ამოუთქმელი სევდით, ტკივილით, გაცრეცილი გულით მიეახლა უფალს.

„... იყავ ერთგული ჩემთა უფალთა,
და ამოკვეთე საფლავის ქვაზე:
იყო... ცხოვრობდა... წერდა.... უყვარდა....

წავიდა და დატოვა საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედება, როგორც საგანძური ეროვნული კლასიკური მწერლობისა, როგორც ნიმუში ქვეყნის ჭირ-ვარამით გულდაფერფლილი კაცის უკიდეგანო სიყვარულისა.

აფხაზეთის მთავრობა

გელა ხმალაძე: აფხაზეთის ერთადერთი პერსპექტივაა, რუსეთის ნაწილი გახდეს!

(მეოთხე გვერდიდან)

— ლავროვმა თბილისის მიერ თვალსაწიერ მომავალში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებებთან ძალის არგამოყენების შესახებ იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტების გაფორმება არ გამორიცხა. თქვენი აზრით, რა აძლევს მოსკოვს იმის რწმენას და აფხაზებისთვის იმ იმედის ჩასახვის საფუძველს, რომ ოფიციალური თბილისი პოზიციას რადიკალურად შეიცვლის და თვალსაწიერ მომავალში ამას მართლაც გააკეთებს?

— აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებთან ასეთი დოკუმენტის გაფორმება, ფაქტობრივად, მათი საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად აღიარება იქნება. ამის ხელმოწერაზე დათანხმებას სხვა ამგვარი შეთანხმებების შემოთავაზება მოჰყვება, რაც საქართველოს სულ უფრო ნაკლებ სივრცეს დაუტოვებს დიპლომატიური მანევრირებისთვის.

— ვიზიტის დროს, ლავროვს კითხვა დაუსვეს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზეც. ამ საკითხის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმატებში წამოჭრის შესახებ ინფორმაციას არაერთხელ გამოუთხოვნავს, მათ შორის — სომხეთის სამთავრობო დელეგაციის თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის დროსაც, თუმცა ოფიციალური თბილისი მის განხილვას ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— რუსეთი აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის ამოქმედებას იყენებს და მომავალშიც გამოიყენებს პოლიტიკური თამაშისთვის. მოსკოვში კარგად ესმით, რომ საქართველო არასოდეს დათანხმდება ამ მოლაპარაკებებში აფხაზური მხარის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის ჩართვას. ამავდროულად, რუსეთი რკინიგზის საკითხით მანიპულირებით ეცდება, დაანახოს სომხეთს, რომ იგი ყველაფერს აკეთებს ამ თემის აქტუალიზებისთვის, რათა მას სატრანსპორტო ბლოკადის უარყოფითი შედეგები შეუმსუბუქოს.

ძნელია იმის თქმა, რა პოზიცია აქვს საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხში და გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის მხრიდან რა დათმობების სანაცვლოდ განიხილავს ოფიციალური თბილისი რკინიგზის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობას.

— გასული წლის ნოემბერში მოსკოვმა სოხუმს „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ შეთანხმების“ გაფორმება შესთავაზა და შესაბამისი დოკუმენტის პროექტიც გადასცა. საუბარია რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაზე აფხაზეთის იმ ე.წ. მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ეს 2008 წლამდე ვერ მოასწრეს. თბილისში იმედოვნებენ, რომ თავად აფხაზეთის მცხოვრებლები „მიხვდებიან, რაოდენ სახიფათოა რუსეთთან ესოდენ მჭიდროდ დაახლოება და ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ, ერთი მხრივ, სრული რუსიფიკაციის პერსპექტივასა და, მეორე მხრივ, მშვიდობიან განვითარებას, იდენტობის შენარჩუნებასა და უკეთესი მომავლის პერსპექტივას შორის“. თქვენ თუ გაქვთ ამის იმედი და რამდენად ეხმარება, თქვენი შეფასებით, თავად საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის მოსახლეობას სწორი არჩევანის გაკეთებაში?

— თავისთავად აფხაზეთის დამოუკიდებლობა ფიქციაა. დღესდღეობით დე იურე იგი საქართველოს ნაწილია, ხოლო დე ფაქტო — რუსეთის ფედერაციის. რუსეთთან მისი ინტეგრაციის დღევანდელი დონე არაფრით განსხვავდება რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიური რეგიონების სტატუსისაგან. შეიძლება, ითქვას, რომ დღევანდელ ჩეჩნეთს ფაქტიური დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი აქვს, ვიდრე აფხაზეთს.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას სჭირდება პოლიტიკური რესურსი, რომელიც აფხაზურ საზოგადოებას არა აქვს და არასოდეს ექნება ამ ეთნოსის მცირერიცხოვნობისა და მენტალობის თავისებურებების გამო. ამიტომ ახლოვადიან რეალობაში აფხაზეთის ერთადერთი პერსპექტივაა, გახდეს რუსეთის ფედერაციის ნაწილი. აფხაზური ელიტების ამბიცია, ჰქონდეთ ეროვნული სახელმწიფო, მხოლოდ რეალობისგან გაქცევა და თავის მოტყუებაა. რუსეთს უამრავი ბერკეტი აქვს იმისთვის, რათა ეს ელიტები ჩააყენოს ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როდესაც თვითონ მოითხოვენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. რასაკვირველია, რუსეთი არ იჩქარებს და ამას უმტკივნეულოდ, მათი ზედმეტი გაღიზიანების გარეშე გააკეთებს. შეთანხმება „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ“ ერთ-ერთი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

საინფორმაციო სააგენტო „აჟანტი“.

ახალი საწარმო ოზურგეთში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ ოზურგეთში სასარგებლო წიაღისეულის — ბენტონიტური თიხების გადამუშავებელი საწარმოს მშენებლობის ნებართვა გასცა.

კომპანია „ასკანგელ ალიანსს“ სახელმწიფო პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 30 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა. კომპანიამ ვალდებულება აიღო, რომ განახორციელებს არანაკლებ, 175 900 ლარის ინვესტიციას.

აღნიშნული საწარმოს გარდა, სამეურნეო კომპლექსი მოიცავს ორ სასაწყობე მეურნეობას, ოფისსა და ავტოფარეხს. „ასკანგელ ალიანსი“ წელიწადში 100 000 ტონამდე ბენტონიტური თიხის გადამუშავებას გეგმავს. საწარმოში 92-მდე ადამიანია დასაქმებული, ხოლო მთელ კომპლექსში 250-მდე ადამიანი დასაქმდება.

სამეურნეო კომპლექსის მშენებლობის დამთავრება მიმდინარე წლის 30 მაისისთვის იგეგმება.

საწარმო თანამედროვე ტექნიკით იქნება აღჭურვილი. სასარგებლო წიაღისეული, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში — მთისპირსა და ცხემლისხიდში მოიპოვება — ვანისქედისა და უჩხუბის საბადოებში.

ქართული ბენტონიტური თიხა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. იგი გამოიყენება მანქანათმშენებლობაში, კერამიკის წარმოებაში, პარფიუმერიაში, საფეიქრო მრეწველობაში, ღვინის ფილტრაციისთვის, ნავთობის მოპოვებაში.

ბინები უსახლკაროთათვის

ზუგდიდის რაიონში სოციალურად დაუცველ და უსახლკარო ოჯახებს ბინები გადაეცემათ. ამ ეტაპაზე ბინით 27 სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ოჯახი დაკმაყოფილდება, ეს კი დაახლოებით 100 ადამიანისთვის საცხოვრებლის გადაცემას ნიშნავს, მათგან 42 ბავშვია.

პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, მძიმე სოციალური პირობების მქონე პირები კი სპეციალურმა კომისიამ შეარჩია.

ექვსი ქართველი მხატვარი ნიუ-იორკის არტექსპოზე

ამერიკულმა არტპრომოუშენ კომპანიამ Madatart New York-ის ყველაზე მსხვილ არტბაზრობაზე, ArtExpo 2017-ზე წელს ექვსი ქართველი მხატვარი წარადგინა.

მხატვრების თათია კობრეშვილის, თიკო ბახტაძის, ნანა გაგოშიძის, ეკატერინე მერაბიშვილის, ცირა ახობაძის და ლაშა ბერაიას ნამუშევრები 30 ათასამდე დამთავარიელებელმა იხილა.

როგორც პროექტის კურატორმა მარიტა დამენიამ განაცხადა წელს ArtExpo რეკორდული რაოდენობის მონაწილით გამოირჩეოდა და მის დასათვალიერებლად ერთი დღე არც კმაროდა. ქართველი მხატვრების ნამუშევრებმა კი განსხვავებული სტილისა და უნიკალური ხელწერის გამო დიდი ყურადღება დაიმსახურა.

Madatart უკვე მეორე წელია, ამერიკაში კონკრეტულად ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციით არის დაკავებული. გასულ წელს კომპანიის მიერ მანჰეტენზე გამართულ გამოფენებში 30-მდე ქართველმა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა. ხოლო მომდევნო გამოფენა ქართველი ხელოვანების მონაწილეობით 28 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით Jadite Galleries-ში გაიმართება. ქართველ ხელოვანებს ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა, ამ გამოფენაში ჩაერთონ და კომპანია Madatart-ს ფეისბუქგვერდზე დაუკავშირდნენ.

,,ღამის მგლები“ 9 მაისს თბილისში ჩამოსასვლელად ემზადებიან

„რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდული კავშირი“ 9 მაისისთვის საქართველოში პერფომანსს გეგმავს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით, იგეგმება „ღამის მგლებს“ თბილისში ჩამოსვლაც, მაგრამ ჯერ საქართველოს ხელისუფლებისგან ირაკლი ყიფიანი გარანტიებს ელოდება, რომ გეორგიევსკის ბაფთებით აღჭურვილ ღამის მგლებს საქართველოს მოქალაქეები პრობლემებს არ შეუქმნიან.

„9 მაისისთვის თბილისში პერფომანსია დაგეგმილი. 13 მაისს კი 11 კაცი მივფრინავთ მოსკოვში, სადაც მიწვეული არიან იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში, იქნება ინტელექტუალური თამაშები და სხვადასხვა სახის ღონისძიება“, – ამბობს ირაკლი ყიფიანი. მისი თქმით, ღონისძიებას მოსკოვში მოსკოვის მერია უწევს ორგანიზებას, საქართველოდან კი ეპატიჟებიან აქტიურ ახალგაზრდებს.

„არ გვინდა ჩვენმა ე..წ სპეცსამსახურებმა ლარსზე ამ ბიჭებს პრობლემა შეუქმნას, წერილები მაქვს გაგზავნილი ჩვენს სამინისტროებში და პასუხებს ველოდები, თორემ იქიდან დიდი მზაობაა“, – ამბობს ყიფიანი.

კიდევ ერთი ჩაის გადამმუშავებელი საწარმო

კიდევ ერთი ჩაის გადამმუშავებელი საწარმო ტყიბულის რაიონში, სოფელ წყნორში აშენდება.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში შპს „გეო-ფლაუერსს“ სოფელ წყნორში მდებარე 173 663 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 25 წლიანი იჯარით გადაეცით.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა მიზნად ისახავს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას, საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას, ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყოველ ჩვენგანს საკუთარი რობოტი გვეყოლება



2021 წლისთვის დევაისების, სენსორებისა და გადამცემების რაოდენობა, რომელიც ინტერნეტზეა დაერთებული (Internet of things, IoT) 46 მლრდ-ს მიაღწევს, ხოლო IoT-ის ბაზრის საერთო ღირებულება კი 661,7 მლრდ დოლარი იქნება.

დროთა განმვლობაში ჩვენს ცხოვრებაში ისეთი ტექნოლოგიების არსებობა, რომელიც ინტერნეტთანაა დაერთებული, ან რობოტექნოლოგიების ელემენტებს შეიცავენ საჭირო და მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი გახდა.

IT ტექნოლოგიების გლობალურმა მიმწოდებელმა Amadeus-მა 2016 წელს ბაზარს უკვე მიაწოდა რობოტი-ჰუმანოიდი IATA, რომელიც ძალიან ბევრი შესაძლებლობის მქონეა.

ინტერნეტთან ერთად ვითარდება ორი რამ: ხელოვნური ინტელექტი და big data.

20 მილიონ გირვანქად შეფასებული სოფელი გაიყიდა

სოფელი უესტ ჰესლეპტონი გაიყიდა. ნორზ-იორკშირში მდებარე სოფელი 150 წლის განმავლობაში ერთი ოჯახის მფლობელობა იყო, თუმცა მას შემდეგ, რაც 84 წლის ასაკში ოჯახის ბოლო ხანდაზმული წევრი ივ დანუეი გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრეებმა მამულის გაყიდვა გადაწყვიტეს და სოფელი 20 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასეს. სოფელი საინვესტიციო კომპანია ალბენვაისმა იყიდა.

პოლიციელებმა „მკვდარი ქალი“ გააცოცხლეს

პარიზში 49 წლის ქალბატონმა, რომელიც ანორექსიით იყო დაავადებული, გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. მისმა ქალიშვილმა სასწრაფო დახმარებას გამოუძახა, თუმცა ექიმებმა ქალი გარდაცვლილად ჩათვალეს. პოლიციელებმა კი, რომლებიც აქტის შესადგენად მივიდნენ, შენიშნეს, რომ ქალს სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა. მათ ქალბატონს ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს. რამდენიმე წუთში ქალს გონება დაუბრუნდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დააკავეს ბრიტანელი თაღლითები

პოლიციამ საგადასახადო სკანდალის ფიგურანტები დააკავა. დაკავებულთა შორის საფეხბურთო კლუბების, ვესტ ჰემის და ნიუ კასლის ფუნქციონერები არიან. მათ ბრალად გადასახადების დამალვა ედებათ. პატიმრობაში აიყვანეს ნიუ კასლის დირექტორი ლი ჩარლინიც.

სტივენ სიგალი შავ სიაში შეიყვანეს



ცნობილი ამერიკელი მსახიობი სტივენ სიგალი უკრაინული საიტის, „მიროტვორეცის“ შავ სიაში მოხვდა. მსახიობს ანექსირებულ ყირიმში ჩასვლასა და ოკუპანტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ. საიტი იმ პირების სიას აქვეყნებს, რომლებიც უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვიზიტებს აწყობენ. შავ სიაში ნაციონალისტებმა ცოტა ხნის წინ ვალერი ლეონტიევიც შეიყვანეს.

ნასამ დედამიწის ზომის პლანეტა აღმოაჩინა



ნასამ ჰაბლის თანამედროვე მიკროსკოპით ახალი პლანეტა აღმოაჩინა, რომელიც თავისი ვარსკვლავისაგან დაშორებითა და ზომით დედამიწის პროპორციებს უტოლდება. პლანეტა „OGLE-2016-BLG-1195Lb“-ის გარსი მთლიანად ყინულითაა დაფარული. ეს გამოწვეულია იმით, რომ იმ სისტემის ვარსკვლავი, რომლის ორბიტის გარშემოც მოძრაობს, ძალიან სუსტია.

„ყინულის ბურთი“, როგორც მას მეცნიერები უწოდებენ, ყველაზე მსუბუქია ჰაბლის მიკროტელესკოპით აღმოჩენილ პლანეტებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საჭურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4773; ევრო - 2.6968;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1774;
100 რუბლი - 4.3797; თურქული ლირა - 0.6899;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4729;
1000 სომხური დრამი - 5.1216.

ამინდი 28 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge